

ქრეფილდის ბიბლიოთეკა
კაყა ვიქტორ ძალაძე

-22573-

ავტორი: რეზა ძაბაშვილი

ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება

მცირე საწარმოებში

თბილისი
2006



16.2(0458)+ 659(0458)
 7-342

რედაქტორისაგან

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიამ 2005 წლის 5 აპრილის №9 დადგენილებით დაამტკიცა „შვირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გაძარტივებული სტანდარტი (მსს)“.

მსს რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სერვისტრაციო კოდით 350.010.010.13.006.007.230. შესაბამისად, იგი წარმოადგენს ნორმატიულ აქტს და მისი გამოყენება სავალდებულოა საქართველოს საწარმოებში, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, არ იყენებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მსს ძალაში შედის 2006 წლის 1 იანვრიდან ბაფ-ი დარწმუნებულია, რომ ბუღალტრები, რომლებიც პრაქტიკაში ხელმძღვანელობენ ფასს-ით, ადვილად შეძლებენ მსს-ის გამოყენებას. თუმცა, პროფესიის ბევრ წარმომადგენელს, განსაკუთრებით ახალბედებს პროფესიაში სჭირდებათ გარკვეული დახმარება, სტანდარტით განსაზღვრული ნორმების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით.

აღნიშნული მოსაზრება დაედო საფუძვლად ბაფ-ის გადაწყვეტილებას, გამოეცა წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო. იგი მოიცავს მსს-ის თითქმის ყველა ნორმას, რომელიც განხილულია პრაქტიკული მაგალითების ფონზე. სახელმძღვანელოში განხილული თემა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების თავისებურებები სოფლის მეურნეობაში“ სასარგებლო იქნება აგრეთვე სოფლის მეურნეობის იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც ევალებათ ფასს-ის გამოყენება. სახელმძღვანელო ასევე არინაკლებ საინტერესო იქნება სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

ლავრენტო ჯუბაბიძე საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის თავმჯდომარე

© რ. შაბაშია

ს ა რ ზ ე ვ ი

თავი 1. ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების საფუძვლები	9
1.1. საწარმოს საბუღალტრო პოლიტიკა	9
1.2. ფინანსური ანგარიშგება, მისი ინფორმაციის მომხმარებლები	16
1.3. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები	20
თავი 2. მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) აღრიცხვა	24
2.1. მოთხოვნების უკონომიკური ხასიათი	24
2.2. მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა	25
2.2.1. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	25
2.2.2. უიმედო და საექსტო მოთხოვნები	28
2.2.3. საწარმოს პარტნიორობა და დაქირავებულ მომუშავეთა მიმართ წარმოშობილი მოთხოვნების აღრიცხვა	37
2.2.4. გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილის აღრიცხვა	37
2.2.5. დარიცხული მოთხოვნების აღრიცხვა	37
2.3. გრძელვადიანი მოთხოვნების აღრიცხვა	38
თავი 3. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის აღრიცხვა	39
3.1. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის შეფასება	39
3.2. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდები	44
3.3. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის გადამფასება	49
3.4. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის უწყვეტი და პერიოდული აღრიცხვა	51
3.4.1. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის უწყვეტი აღრიცხვა	51
3.4.2. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის პერიოდული აღრიცხვა	55
3.4.3. სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის ანალიზური აღრიცხვა	56

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველად მსს-ის ძირითადი და შევებითი — დარიცხვის შეთადი და ფუნქციონირებადი საწარმო.

დარიცხვის შეთადის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე. ამასთან, ისინი ერთდროულად აისახება ბუღალტრულ რეგისტრებსა და ამავე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, დარიცხვის შეთადით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციის მომხმარებელს აცნობს არა მხოლოდ ამ სამეურნეო ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ფულადი საშუალებების გადახდასა და მალეობას, არამედ მომავალში გასაჩივრებულ ვალდებულებებსა და მოსაღებ მოთხოვნებს. ამგვარად, დარიცხვის შეთადის გამოყენებით სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების აღიარება ხდება მათი განხორციელებისთანავე და ისინი აისახება ამ პერიოდის ბუღალტრულ რეგისტრებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც თარიღით შეიკუთვნება.

ფუნქციონირებადი საწარმოს დამკვეთი გულისხმობს, რომ საწარმო ფუნქციონირებს და საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს სამართავსო მომავალში. აუთრიდება, რომ საწარმო არ აპირებს და არ მოუწევს თავისი საქმიანობის შეწყვეტა ან მასი მასშტაბების საგრძნობლად შემცირება. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების შედეგის პროექტში ხელმძღვანელობამ უნდა განიხილოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელებას უნარა. ფუნქციონირებას უნარას შეუძლებისას, საწარმოს ხელმძღვანელობა იყენებს ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედეგის თარიღიდან სულ მცირე ერთ წელიწადს, აღნიშნული ფაქტების განხილვას სერიოზულობა დამოუკიდებელი კონკრეტულ სიგუაციაზე. თუ საწარმო წარსულში მომგებიანი იყო და საკმარის ფინანსურ რესურსებს ფლობდა, დასკვნა ფუნქციონირებადობის შესახებ შესაძლოა გაკეთდეს დეტალური ანალიზის გარეშე. სხვა შემთხვევაში საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველი რეალურად რომ ჩაითვალოს, საწარმოს ხელმძღვანელობას შეიძლება დასჯილიყოს შრავალი ფაქტორის განხილვა, რომელიც დაკავშირებული იქნება საწარმოს მიმდინარე და მოსალოდნელ მომგებიანობასთან, ვალდების დაფარვის გრავიტეტთან და დაფინანსების შესაძლო წყაროებთან.

თუ კონკრეტულ სააღრიცხვო ობიექტთან დაკავშირებით აღრიცხვა-ანგარიშგების წესი სტანდარტით არ არის განსაზღვრული, მაშინ ასეთი სააღრიცხვო ობიექტისათვის საწარმოს ხელმძღვანელობა თვითონ შეიმუშავებს სააღრიცხვო პოლიტიკას.

სააღრიცხვო პოლიტიკის დამოუკიდებლად შემუშავების დროს, ძირითად დამკვეთთან ერთად, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მიხასიათებლების — **აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა** — უპირობო დაცვა. აღქმადობა და შესადარისობა ინფორმაციის წარდგენასთან დაკავშირებული მასსიათებელია, ხოლო შესაბამისობა და საიმედოობა — ფინანსური ანგარიშგებას შინაარსის შახასიათებელი.

აღქმადობა გულისხმობს ინფორმაციის ასეთი ფორმით მაწოდებას, რომელიც ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი იქნება მომხმარებლისათვის. ამასთან, აულისხმება, რომ მომხმარებელს გასაგებია ცოდნა გააჩნია ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში და წინასწარი ინფორმაციის აღქმის უნარი. აღქმადობა არ გულისხმობს ძველად აღსაქმელი ფინანსური ინფორმაციის ანგარიშგებაში ასახვისაგან თავის შეკავებას.

შესაბამისობა გულისხმობს ინფორმაციის სარგებლიანობას, ინფორმაცია სასარგებლო და გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ იგი გაელენას ახდენს ინფორმაციის მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ მას ეხმარება შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა, ან დაადსგუროს ამ შესწორის აღრიცხვით შეფასებები. ინფორმაციის შესაბამისობაზე გაელენას ახდენს მისი არსებითობა, ინფორმაცია ითვლება არსებითად, თუ მისი გამოგოლება ან დამახინჯება გაელენას მოახლენს იმ მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე, რომლებიც აურობობიან ფინანსურ ანგარიშგების, არაბარსებითი ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა ართულებს აღრიცხვის პროექსს და არაფერს მაგებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას, ასე არსებითობა გულისხმობს იმ მდვარს, რომლის გადაღახვის შედეგად ინფორმაცია უსარგებლო ხდება.

საიმედოობა გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის: სამართლიანად წარდგენას (სამართლიანად უნდა ასახავდეს ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენას), შინაარსის ფორმად აღმარებულებას (ინფორმაცია სამეურნეო ოპერაციის შესახებ აუცილებელია აისახოს შინაარსისა და ეკონომიკური რეალობის და არა სამართლებრივი ფორმის შესაბამისად), ნეიტრალურობას (არ უნდა ასახავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც წინასწარგანზრახულ შედეგს განაპირობებს), წინდახედულობას (უნდა იყოს პროფესიულად კეთილგონივრული იმ განუსაზღვრელი გარემოებების მიმართ, რომლებიც გარდაუვლად თან ახლავს ფინანსურ ანგარიშგებას) და სისრულეს (არ უნდა იყოს გამოგოებული არსებითი ინფორმაცია).

შესადარისობა გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისათვის საწარმოს სხვადასხვა წლის საქმიანობის შედეგებისა და შეფასების შესაძლებლობის უზრუნველყოფას, საწარმოს შედეგების გენდენციების განსაზღვრის მიზნით.

შესადარისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საწარმო უცვლელად, წლების განმავლობაში, იყენებდეს არჩეულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკა მუდმივად უცვლელი დარჩეს. სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა შესაძლებელია, თუ ამას შიითხილვის საქართველოს კანონმდებლობა ან ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შემუშავებული ორგანო, ან იმ შემთხვევაში, თუ სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის შედეგად საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოვლენები და სამეურნეო ოპერაციები უფრო მისაღები ფორმით იქნება წარდგენილი.

საწარმოს მიერ შერჩეული და მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა იყოს ვაცხადებული. ე.ი. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაციის მომხმარებლისათვის, რათა იგი გაეცნოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მათში შეგანილ ცვლილებებს და ამ ცვლილებებით გამოწვეულ შედეგებს. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, შეაფასოს განსხვავებები სხვადასხვა სააღრიცხვო პოლიტიკას შორის, რომლებსაც ერთი და იგივე საწარმო იყენებს საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში, ან სხვადასხვა საწარმოები იყენებენ ერთი და იმავე საანგარიშგებო პერიოდში. მის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის კომპონენტად განიხილავს სააღრიცხვო პოლიტიკას განმარტებით შენიშვნებთან ერთად. ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გამჟღავნებული სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა შეიცავდეს:

ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემას; და

ბ) თითოეულ სპეციფიკურ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გაგებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია ამ სააღრიცხვო პოლიტიკის ახსნა, რომელიც განხილული არ არის მსს-ში, მაგრამ დამოუკიდებლად აქნა შერჩეული და საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების შესაძგენად.

ქვემოთ მოგანილია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ნიმუში.

ნიმუში

შპს „XXXXX-ის“ სააღრიცხვო პოლიტიკა

ვამტკიცებ
შპს „XXXXX-ის“
დირექტორი

„... 20X5

1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „XXXXX“ რეგისტრირებულია ქ. თბილისის ეკის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 20X4 წლის 20 დეკემბერს. სარეგისტრაციო სიძვერე —. მისამართი — ქ. თბილისი, ვოგებაშვილის ქ. № —. საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი —.

1.2. საბოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: (საქმიანობის ჩამონათვალი)

1.3. საბოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგ კანონებსა და კანონქვედებარე აქტებზე დაყრდნობით:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კოშისიის მიერ დამტკიცებული მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს).

1.4. მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებაში შედის 20X5 წლის 1 იანვრიდან და შედგება მოქმედებს საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდში.

1.5. მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია შეიცვალოს მსს-ით გათვალისწინებული პირობების დაყოთ.

1.6. ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საბოგადოების ხელმძღვანელი. იგი ქმნის ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებისა და ანგარიშგების დროულად წარდგენის პირობებს; უზრუნველყოფს აღრიცხვა — ანგარიშგებასთან დაკავშირებული ყველა ქვედანაყოფის მიერ მთავარი ბუღალტრის მოთხოვნების დროულ შესრულებას.

2. ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული წესები და მეთოდები

2.1. ძირითადი საშუალებები

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში ადიდება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს: ნაყიდი ფასს, საიმპორტო ბაჟს, დაუბრუნებელ ვადასახადებს, საწარმოო გრანს-პორტირების, აღვალმდებარეობის მომხმარებელს, მონტაჟისა და სამუშაო მღვამარეობაში მოსაყვანად სიჭირა სხვა პირდაპირ ხარჯებს;
- საკუთარი ძალით, სამუშაო წესით, შექმნილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში გარდება მისი შექმნის ფაქტობრივი თვითღირებულებით;
- ფინანსური იჯარით მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში გარდება საიჯარო ქონების რეალური ღირებულებით, ან თუ უფრო ნაკლებია, იჯარის დასაწყისისათვის გაბნავარი-შეღული ძირითადი საიჯარო ვადასახადების დისკონტირებული ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება აკუმულირებული ცვეთის თანხით შემცირებული თავდაპირველი ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
- ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულებასა და ცვეთის ნორმას ადგენს საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული კომისია.

2.2 სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობა

- შეძენილი საქონელი შემოსავალში გარდება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით;
- საწარმოში წარმოებული პროდუქცია შემოსავალში გარდება წარმოების თვითღირებულებით;
- სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობა აღირიცხება პერიოდული აღრიცხვის მეთოდით;
- სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება მეთოდით „ფიფო“;

- სასაქონლო-მაგერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებასა და ნეგო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

2.3. მოთხოვნები

- გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით;
- მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეგო (მოსაღოსელი ანაზღაურების) თანხით, რისთვისაც მოთხოვნების კორექტირება ხდება საუკუო მოთხოვნების თანხაზე;
- საკუთარი მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება წმინდა რეალიზაციიდან წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით.

2.4. საკუთარი კაპიტალი

- საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის, მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებისაგან;
- საწესდებო კაპიტალის ოდენობა დადგენილია წესდებით და შეადგენს 3.000 ლარს.

2.5. ვალდებულებები

- მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც საზოგადოებას მოუწევს;
- სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მაკუთვნება იმ პერიოდს, როცა იყო გაწეული.

2.6. შემოსავლები და ხარჯები

- შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამოშვებული, მიუხედავად მისი სანაყილო ფაქტობრივად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეგო ღირებულებით, მესამე პირის ხარჯებით ამოღებული თანხების (დღე, აქციები) გარეშე;
- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უბრუნელო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტობრივად დაფარვის მომენტისა;
- შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით;

- ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
- წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
 - ღირებულებების გასაყვამდე;
 - სხვა მიზნით დამუშავებულთა გადაწყვეტილებით.

2.7. მოგების გადასახადი

- მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით;
- სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო (დასაბეჭდი) მოგებიდან გათვალისწინებულ ბიუჯეტის კუთვნილ მოგების გადასახადს შორის სხეობა აღირიცხება გადაუდებელი საგადასახადო აქციის ან გადაუდებელი მოგების გადასახადის სახით.

1.2. ფინანსური ანგარიშგება. მისი ინფორმაციის მომხმარებელი

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. იგი წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

დაგეგმვა – მოქმედების წესის ფორმულირების პროცესია. იგი გულისხმობს მიზნის დასახებას, მისი მიღწევის გზების მოძიებას და საუკეთესო ალტერნატივის არჩევას, ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს არსებული ფინანსური მდგომარეობის ნათელი სურათი, რადგან დაგეგმვისათვის აუცილებელია ინფორმაცია შესაძლო მოგებისა და ფულად საშუალებებზე მოთხოვნის შესახებ.

კონტროლი – გეგმის ფაქტობრივად შესრულებაზე მეთვალყურეობის პროცესია. ამ ეტაპზე ბუღალტერმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია, რომელიც მოიცავს გეგმასთან ფაქტობრივი ხარჯებისა და შემოსავლების შედარებას.

შეფასება – გადაწყვეტილების მიღების მთელი სისცემის შესწავლის პროცესია, მისი გაუმჯობესების მიზნით. ამ ეტაპზე აუდიტორულია დადგინდეს, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი. კონტროლს, რამ შეუძალა ხელი დასახული მიზნის მიღწევას, რა იყო მიზეზი – დაგეგმვის ან კონტროლის ნაკლოვანება, თუ თვითონ მიზანი იყო არასწორად არჩეული.

სამმართველო-საინფორმაციო მიზნის გარდა, სააღრიცხვოსა და საანგარიშგებო ინფორმაციას სხვა დანიშნულებაც გააჩნია. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს საქმიანობის შეფასების, ფინანსური მდგომარეობისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიწოდოს მომხმარებელთა ფართო კლასის, რათა მათ დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში. მეორე საწარმოების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელთა კატეგორია არ განსხვავდება მსხვილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისაგან. ესენი არიან არსებული და პოტენციური ინვესტორები, დაქირავებული მუშაკები, კრედიტის გამცემები, მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები, დამკვეთები, მთაურობები და მათი უწყებები, სამსახურები. მათ ფინანსური ანგარიშგება სჭირდებათ სხვადასხვა საინფორმაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს მოთხოვნები:

ა) **ინვესტორები**. სარისკო კაპიტალის ინვესტორები და მათი კონსულტანტები ბრუნავენ რისკზე, რომელიც თან ახლავს ინვესტიციებს და ინვესტიციებიდან მიღებულ ამონაგებს. მათ ინფორმაცია იმისათვის სჭირდებათ, რომ განსაზღვრონ. ვაყიდონ, დაიტოვონ თუ იყიდონ ფასიანი ქაღალდები. აქტივობები აგრეთვე დამატურესებულნი არიან შეაფასონ საწარმოს უნარი – გადაიხადოს ღირებულებები;

ბ) **დაქირავებული მუშაკები**. დაქირავებული მუშაკები და მათი ჯგუფის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან თავიანთი დამქირავებლის ფინანსური სტაბილურობითა და მომგებიანობით აგრეთვე საწარმოს ისეთი შესაძლებლობებით, როგორიცაა: დისკონტა და შრომის ანაზღაურება;

გ) **კრედიტის გამცემები**. საკრედიტო ორგანიზაციები დაინტერესებული არიან გაცემული სესხისა და შესაძლებელი სარგებლის დროული დაბრუნებით.



დ) მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები. მომწოდებლები და სხვა კრედიტორები დაინგერესებულნი არიან ინფორმაციით, რომელიც მათ საშუალებას მისცემს განსაზღვრონ, დროულად მიიღებენ თუ არა კუთვნილ თანხებს. სავაჭრო კრედიტორებს, როგორც წესი, საწარმოო ბინგერესებთ შეღებვებით ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, ვიდრე კრედიტის გამცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი დამოკიდებულნი არიან საწარმოზე, როგორც მთავარ მომხმარებელზე;

ე) მყიდველები. მყიდველები დაინგერესებულნი არიან საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათ საწარმოსთან აქვთ ხანგრძლივი ურთიერთკავშირი ან დამოკიდებულნი არიან მასზე;

ვ) მთავრობები და მათი უწყებები. მთავრობები და მათი უწყებები დაინგერესებულნი არიან ტესურსების განაწილებით და, მაშასადამე, საწარმოს საქმიანობით. ისინი აგრეთვე მოითხოვენ ინფორმაციას, რათა დაბრუნდნენ საწარმოს საქმიანობა, განსაზღვრონ საგადასახადო პოლიტიკა და ეს ინფორმაცია გააძლიერონ ერთიანი შემოსავლის აღრიცხვისა და სხვა ამგვარი გიპის სტატისტიკის საწარმოებლად;

ზ) საზოგადოება. საწარმოებო, მრავალი ფორმით, გარკვეულ გავლენას ახდენს საზოგადოების ცალკეულ წევრებზე. მაგალითად, საწარმოებმა შეიძლება დიდი წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ეკონომიკაში სხვადასხვა გზით, მათ შორის მოსახლეობის დასაქმებითა და ადგილობრივი მომწოდებლებისაგან მუდმივი შესყიდვების გზით. ფინანსური ანგარიშგება შეიძლება საზოგადოებას დაუხმაროს — მაილის ინფორმაცია, საწარმოს განვითარების მიმართულებების, მიღწეული შედეგებისა და ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბების შესახებ;

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით ყველა მომხმარებლის საინფორმაციო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არსებობს ისეთი გიპის მოთხოვნილებებიც, რომლებიც ყველა მომხმარებლისათვის საერთოა. ეინაიდან ინვესტორები საწარმოსათვის სარისკო კაბიგალის მომწოდებლები არიან, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად მომწოდებულნი ფინანსური ანგარიშგება დააკმაყოფილებს სხვა მომხმარებელთა ძირითად მოთხოვნილებებსაც;

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები პირობითად შეიძლება დაიყოს სამ დიდ ჯგუფად:

1. ადმინისტრაცია (მენეჯერები);

2. პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები;

3. არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები.

მენეჯერები ფინანსური ინფორმაციის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებლები არიან. მათ შეუძლიათ ბუღალტერებიდან მოითხოვონ შემდეგი ინფორმაცია:

- რამდენია საწარმოს საბანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგები;
- არის თუ არა საწარმოს შესაკუთრება მოგების ნორმა მათი მოლოდინის ადეკვატური;
- აქვს თუ არა საწარმოს საკმარისი ფულადი სახსრები;
- როგორია საწარმოს უფრო მომგებიანი;
- როგორია წარმოებული ცალკეული პროდუქციის თვითღირებულება და სხვ.

პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები არიან საწარმოს არსებული და მომავალი ინვესტორები და კრედიტორები. ისინი აანალიზებენ რა ბუღალტრულ ანგარიშგებაში სტატისტიკურ ინფორმაციას, ცდილობენ გააკეთონ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორია საწარმოს ფინანსური პერსპექტივა, ღირს თუ არა მისი საქმიანობაში სახსრების დაბანდება. კრედიტორებს კი ბინგერესებთ, შეძლებს თუ არა საწარმო ეალის დროულად გადახდას და აქვს თუ არა პროცენტის გადახდის საშუალება.

არაპირდაპირი (ირიბი) ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები არიან პირები (როგორც ფიზიკური ისე იურიდიული), რომელსაც ბინგერესებთ გარკვეული ფინანსური ინფორმაცია. მათ როგორც მოკუთვნება: საგადასახადო სამსახური, რომელიც ბინგერესებულაბ მოგების, ქონების, დამაგებული ღირებულების, აქციის და სხვა გადასახადების სწორად გადახდაში; სტატისტიკური აღრიცხვის ორგანო; აღრიცხვის მარეგულირებელი ორგანო; მყიდველები და საზოგადოება მთლიანად, რომელთა დაინგერესება განპარობებულია იმით, რომ საწარმოთა მომგებიანობაზე ბევრადია დამოკიდებული ინფლაცია, გარემოს მღვომარეობა, სოციალური პრობლემები და ცხოვრების საერთო ღონე.

ფინანსური ანგარიშგების მომწოდება და მისი მომხმარებლისათვის წარდგენა ევალება საწარმოს ღირექტორებს.

1.3. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები

ბუღალტრული აღრიცხვა თვისებური ნაშან-თვისებებითა და პრინციპებით ხასიათდება. აღრიცხვის არსებითი თვისებებია მისი შეზღუდულობა, საიდანაც გამომდინარე ფინანსური ანგარიშგება სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდულ სურათს ასახავს. შეზღუდულობა იმითაა განპირობებული, რომ:

1. მოვიერთო უმნიშვნელო მოვლენა შეუძლებელია გამოისახოს ფულადი ფორმით;
2. საანგარიშგებო პერიოდი ფაქტობრივად არგებულში მოიცავს განუსაზღვრელობას გარიგებების დაუმთავრებლობის გამო;
3. ფინანსური ანგარიშგების მონაცემები დამოკიდებულია აღრიცხვის კონცეფციამზე;
4. ბუღალტრული აღრიცხვა არ არის სპეციალური მსჯელობა, მისი წესები წინასწარ განსაზღვრულია საღი ჯონებით.

განუსაზღვრელობა ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი შეზღუდულობაა, რომელიც ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ართულებს საწარმოს არსებითი ეკონომიკური მდგომარეობის გამოსახულებას. განუსაზღვრელობის განპირობებია:

1. გარიგების დაუსრულებლობა;
2. მარაგის ღირებულების საბაზრო კონიუნქტურა;
3. ძირითადი საშუალების მომსახურების მიახლოებითი ვადა ცვეთის დასადგენად;
4. რეალიზებული აქციების ღირებულების კონიუნქტურა;
5. გაუთვალისწინებელი ვალდებულებები.

აღრიცხვის კონცეფცია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების პრინციპებია, რომელიც აყალიბებს პირველადი ბუღალტრული ჩანაწერების ფინანსურ ანგარიშგებად გარდაქმნის წესს. ეს წესი მეტწილად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნის სააღრიცხვო პრაქტიკაში, მაგრამ იგი ყველგან ემყარება აღრიცხვის ისეთ ზოგად პრინციპებს, როგორებიცაა: ორმხრივობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურობის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვაციურობის, არსებითობის, რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპები.

ორმხრივობის პრინციპის თანახმად, საწარმოს ქონება წარმოვიდგება შემდეგი გოლობის სახით:

$$\text{აქტივი} = \text{ვალდებულება} + \text{კაპიტალი}$$

ეს გოლობა ყოველთვის უნდა იყოს დაცული, თუ ბუღალტრული მსჯელობა არ არის დაშვებული. გოლობას, აქტივი = ვალდებულება + კაპიტალი, სხვაგვარად საბალანსო განგოლებასაც უწოდებენ და იგი სხვა უუნდამენგურ პრინციპების შორის ერთ-ერთი ძირითადია.

ფულადი შეფასების პრინციპი ითვალისწინებს ბუღალტრულ მონაცემებში იმ მონაცემების გამოყენებას, რომლებიც შეიძლება ფულადი შეფასდეს ფაქტად, რომელიც აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. პრაქტიკულად ფულად საზომში უნდა იყოს გამოსახული და მხოლოდ, მათზე მხოლოდ ბრათმეტიკული ოპერაციების საშუალება არსებობს. ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია მხოლოდ იმ მონაცემებზე, რომლებსაც ფულადი ღირებულება გააჩნია და არ შეიცავს არაფინანსურ ინფორმაციას, იგი ვერ იძლევა ამომწურავ პასუხს საწარმოს მდგომარეობის შესახებ.

საწარმოს ავტონომიურობის პრინციპის თანახმად, საწარმოს ანგარიშგება გამოხრული უნდა იყოს მისი დამოუკიდებლობის ანგარიშისაგან. ე.ი. საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ინფორმაცია მხოლოდ საწარმოს ფინანსური ოპერაციების შესახებ.

უწყვეტობის პრინციპი ემყარება მოსაზრებას, რომ საწარმო იქცევა სტაბილურად განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საწარმო უწყვეტად იქცევა განმავლობაში, რომელშიც იმის გამო, რომ ბუღალტრული აღრიცხვა ემყარება უწყვეტობის პრინციპს, იგი არ შეიცავს ინფორმაციას, რა ფასში იქცევა გაყიდულიყო საწარმოს საშუალებები, თუ იგი შეწყვეტდა უწყვეტობის პრინციპს. უწყვეტობის პრინციპი, გარკვეულწილად, აქტივობაშია ფინანსური ანგარიშგების შედგენის ძირითადი დაშვებისთან ერთად უწყვეტობის პრინციპი.

თვითღირებულების პრინციპი გულისხმობს საშუალებების აღრიცხვას შემდგომი და დამზადების თვითღირებულებით და არა მისი საიანრო ღირებულებით. ამიტომ ბუღალტრული აღრიცხვა არ ეფუძნება ინფორმაციას, მოცემულ მომენტში საშუალებების რეალური ღირებულების შესახებ.

კონსერვაციურობის პრინციპის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვა არ უნდა იძლეოდეს ფინანსური მდგომარეობის გაუმართლებელ თანგომისგურ შეფასებას. ეს პრინციპი მოიცავს ორ პირობას: 1. ქონების ბრდის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი წარსადგენს სრულიად განსაზღვრულ მოვლენას და 2. ქონების შემცირებას აღიარება ხდება მაშინ, როცა იგი წარმოადგენს სრულიად შეიძლებულ მოვლენას. უფრო მარტივად: მაგალითად, საწარმო

მყიდველს შეუთანხმდა იანვრის თვეში, რომ მიპყიდის ბეგომობილს, რომელიც მყიდველს გადაეცემა მარტის თვეში. ნაკლებად შესაძლებელია, რომ მყიდველმა უარი თქვას ბეგომობილის შეძენაზე. მაგრამ ეს მოვლენა ბუღალტრულად არ აღირიცხება მარტამდე, უკიდურეს შემთხვევაში, სანამ ქონება ახალ მფლობელს არ გადაეცემა. მაგრამ თუ საწარმოს ბეგომანქანა მოპარეს ღვეკმბერში და სრულიად შესაძლებელია იგი აპოლონ, ღვეკმბერით, მარტის თვემდე, მანქანის დაკარგვის ფაქტი ბუღალტრულად უნდა აღირიცხოს ღვეკმბერშივე, რათა ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოს მფლობელობა ოპტიმისტურად არ იქნას წარმოდგენილი.

არსებითობის პრინციპის (ზოგჯერ მაგერიალურობის პრინციპად წოდებული) არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში მხედველობაში არ მიიღება არაარსებითი ფაქტა. სხვათადაც რომ უთქვამთ, როდესაც ბუღალტერი საწარმოსათვის შექცნილ ფანქარს პირდაპირ აკუთვნებს ხარჯებს და მას არ აღრიცხავს ნივთის სახით, მაშინ იგი სარგებლობის მაგერიალურობის პრინციპით. ამ დროს არაარსებითად ის, რომ ფანქარი ერთბაშად არ ეცთება. არაარსებითი კი აღრიცხვაში იგნორირებულ უნდა იქნეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მრავალი არაარსებითი ფაქტის აღსარიცხებად ბუღალტრული ჩანიწერების შესრულება სამუშაო დროის არაეფექტური ხარჯვა იქნება.

არსებითად ითვლება ოპერაცია, რომლის შედეგად იცვლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ოპერაციების არსებითად და არაარსებითად დაყოფა სუბიექტურია. ჟორმალური წესები ამ მიმართებით არ არსებობს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს ყველა არსებით ფაქტს. არსებითობა ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ხარისხობრივი მახასიათებელია.

რეალიზაციის პრინციპი განსაზღვრავს მოგების რეალიზაციის დროს და, ამასთანავე, პერიოდიზაციის გზით შერწყმულია შესაბამისობის პრინციპთან. რეალიზაციის პრინციპის შესაბამისად, საწარმოს მიერ შემოსავლები აღირიცხება ბეგის მყიდველზე გადაცემის ან მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის დროს.

თუ საწარმომ საქონლის მიწოდებაზე მყიდველთან ხელშეკრულება გააფორმა იანვარში, საქონელი მყიდველს გადასცა თებერვალში და საქონლის საფასური მიიღო მარტში, მაშინ რეალიზაციის პრინციპის მიხედვით, შემოსავალი ბუღალტრულად უნდა აღიაროს თებერვალში. ამგვარად, შემოსავალი აღირიცხება მაშინ, როცა რეალიზაცია განხორციელდება ითვლება და იგი ემთხვევა საქონლის მყიდველისათვის გადაცემის მომენტს. ამიტომ გერმანი „რეალიზაცია“ უნდა გაეფორმოს როგორც მყიდველისათვის საქონლის

დამოხმად დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა და მიწოდების უფლება, შემოსავალი მიიღოს რეალიზაციიდან, რომელიც შეიძლება ემთხვეოდეს, უსწრებდეს ან მოსდევდეს საქონლის მიწოდების. ე.ი. რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარებისათვის არსებითი არ არის როდის იქნება მყიდველი რეალურად მიღებული – მყიდველისათვის საქონლის გადართმევამდე, გადაცემის დროს თუ მის შემდეგ.

შესაბამისობის პრინციპი არეგულირებს გასაყლების ხარჯეზად აღიარებას. მასი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში ის გასაყლება მიიჩნევა ხარჯებად, რომელიც მოწოდებულია ამ პერიოდის შემოსავლების მიღებაში. ამაგომ, უნდა და ამავე ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგებისა და ხარჯების აღიარება ერთდროულად ხდება. ამ პროცესს უწოდებენ ამონაგებისა და ხარჯების შესაბამისობის პრინციპს. არ შეიძლება ამონაგების აღიარება შესაბამისი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრის გარეშე.

შემოსავლებისაგან ხარჯების შესაბამისობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საანგარიშგებო პერიოდის მოგებისთან, მოგების გადასახადის ხარჯის შესაბამისობა. არის შემთხვევები, როდესაც შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტების აღიარება ფინანსურად და საგადასახადო მიზნებისათვის განსხვავებული მეთოდებით ხდება. მაგალითისათვის, თუ ღებუშებით, რომ საწარმოს საბაზარზე პერიოდში მიღებული აქვს მოგება 25.000 ლარი, ამასთან ერთად საშუალებებს ეცეთას არიგხავს წრფივი მეთოდით და საანგარიშგებო პერიოდში ეცეთა 2.000 ლარს შეადგენს, ხოლო საგადასახადო მიზნებისათვის კოდექსით დაშვებულია ეცეთას თანხის გამოკითხვა 2.500 ლარის თანხით, მაშინ საგადასახადო მოგება იქნება 24.500 (25.000 + 2.000 - 2.500) ლარი. შესაბამისად, საწარმოს მოგებას მოგების გადასახადის გადახდა 4.900 (24.500-ის 20%) ლარის თანხით. მიუხედავად იმისა, შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, საწარმო მოგების გადასახადის ხარჯად აღიარებს 5.000 (25.000-ის 20%) ლარს. აქედან, ბიუჯეტის სასარგებლოდ დაბარიყხავს 4.900 ლარს, ხოლო 100 ლარს აღრიცხავს როგორც „გადაცემული მოგების გადასახადი“. ამდენად, მიღებულ მოგებას (25.000 ლარი) შეესაბამება მოგების გადასახადის ხარჯი 5.000 ლარი.

მოთხოვნების (დებიტორული დავალიანების) აღრიცხვა

2.1. მოთხოვნების აკონოშირების ხასიათი

საწარმოს მეორე და მესამე პირების მიმართ მოთხოვნები წარმოეშობა მრავალი გარემოების გამო. მათი კონკრეტული მაგალითებია: პროდუქციის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევისთან დაკავშირებით წარმოშობილი მოთხოვნები; მომწოდებლებისათვის გადახდილი აქანსები; გატეხული სესხები; მომუშავეებზე კრედიტით გაყიდული საქონელი და სხვ. მოთხოვნები შესაძლებელია წარმოიშვას ასევე კანონის ძალით მეორე და მესამე პირების მიერ, თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. მოთხოვნის წარმოშობის უძთაერესი საფუძველი საწარმოსა და სხვა პირებს შორის დადებული გარიგებაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოთხოვნები წარმოიშობა მხოლოდ გარიგებაში მონაწილე მეორე მხარის მიერ. მოვალეობის შეუსრულებლობის გამო. გარიგება შეიძლება ითვალისწინებდეს ასეთ აუცილებელ შესასრულებელ პირობას, რომელსაც უთუოდ მოთხოვნის აღიარება მოჰყვება. მაგალითად, გარიგების პირობებიდან გამომდინარე, საწარმოს მიერ საქონლის მიწოდება მისი ღირებულების შემდგომი ანაზღაურებით, აუცილებლად ღებიტორულ დავალიანებად უნდა იქნეს აღიარებული. ხშირად წინასწარ ცნობილია მოთხოვნების გადახდის ვადები. ამიტომ იდვლია მათი კლასიფიკაცია გადახდის ვადების გათვალისწინებით.

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლისათვის, ცხადია, საინტერესოა არა მარტო მოთხოვნის მთლიანი ოდენობა, არამედ მათი ვადებიც. მოთხოვნები, ეკონომიკური თეალისამრისით, გადახდის ვადებთან დამოკიდებულებით მოკლევადიან (მიმდინარე) და გრძელვადიან მოთხოვნებად იყოფა. თუმცა, გამოირიცხული არაა, ღებალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მათი დაჯგუფება განსაზღვრული ვადების მიხედვით. ვადის მიხედვით მოთხოვნების დაჯგუფება მნიშვნელოვანია ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე. მსს-ის მოთხოვნების შესაბამისად, საწარმომ ბალანსში

განსაკუთრებულად უნდა ასახოს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები. ამიტომ მოთხოვნების აღსარიცხავად გამოყოფილი ბუღალტრული ანგარიშები მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნების ჯგუფშია გაერთიანებული. მოკლევადიან მოთხოვნებად განიარაღება ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მიღებას დაქვემდებარებული მოთხოვნები. სხვა მოთხოვნები მიეკუთვნება გრძელვადიან მოთხოვნებს.

2.2. მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა

2.2.1. მოთხოვნები მიწოდებდან და მომსახურებიდან

მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნები წარმოიშობა საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების (შემდგომში საქონელი) გაცემის შედეგად. ე. ი. მოთხოვნის აღიარება უკავშირდება საქონლის გაყიდვიდან შემოსავლების აღიარების მომენტს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემოსავალი ყველა გაყიდვიდან მოთხოვნების წარმოშობის საფუძველია. გაყიდვიდან შემოსავალი მოთხოვნებს წარმოშობის მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწოდება განხორციელებულია ღირებულების შემდგომი ანაზღაურებით ან, როგორც ხშირად ამოიწეს, კრედიტით რეალიზაციისას. კრედიტით რეალიზაცია ან საქონლის კრედიტში გაყიდვა შესაძლებელია განსხვავებულ პირობებს, მათ შორის ვადამდელი გადახდის წინაღობებისა, ითვალისწინებდეს. ამიტომ მოთხოვნების წარმოშობისა და ღებარების სამეურნეო ოპერაციები აღეკვადრ ბუღალტრულ გაგებებს მოითხოვს. პრაქტიკაში ხშირად იყენებენ მოთხოვნების მთლიანი და წმინდა თანხით აღრიცხვის მეთოდებს.

ოპერაციის აღრიცხვა მთლიანი თანხის მეთოდით

ქვემოთ მოგანილი ოპერაციები ეხება მეორე საწარმოს, რომელიც არ არის დამატებული ღირებულებისა და აქციის გადახდილი.

ა) საქონლის გაყიდვიდან საწარმოს ეკუთვნის საქონლის ღირებულება 1.000 ლარი. საქონელი მიწოდებულია ღირებულების

დაუხადა 50 ლარი. შეძენის მომენტისათვის წინა წლის შედეგების მიხედვით დივიდენდები გაცემულია, ხოლო მიმდინარე წლის დივიდენდის ილენგიფიცირება ეერ ხერხდება. ამდენად, შეძენის თვითღირებულება 2.050 ლარს შეადგენს. ოპერაცია აისახება

ღებუგი – მოკლევადიანი ინვესტიციები 2.050

კრედიტი – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2.050

3) საწარმო მიმდინარე ინვესტიციას ბალანსში ასახავს საბაზრო ღირებულებასა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თუ საბაზრო ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება თვითღირებულებაზე, მაშინ სხვაობის თანხა გატარდება

ღებუგი – ზარალი ინვესტიციების ჩამოფასებიდან

კრედიტი – მოკლევადიანი ინვესტიციების ჩამოფასება

4) საწარმომ 20X5 წლის თებერვალში გაყიდა A საწარმოს 100 აქცია 2100 ლარად და K საწარმოს 50 აქცია – 2.400 ლარად. გაყიდული აქციების საბალანსო ღირებულება, შესაბამისად, შეადგენდა 2.050 და 2.500 ლარს. ცნობილია, რომ ინვესტიციების გაყიდვიდან შედეგის დასადგენად ამონაგებს აკლდება ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. ამდენად, საწარმომ A საწარმოს აქციების გაყიდვიდან მიიღო 50 ლარი მოგება, ხოლო K საწარმოს აქციების გაყიდვიდან იზარალა 100 ლარი.

A საწარმოს აქციების გაყიდვიდან მიღებული მოგება

ღებუგი – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2.100

კრედიტი – არასაოპერაციო მოგება 50

კრედიტი – მოკლევადიანი ინვესტიციები 2.050

K საწარმოს აქციების გაყიდვიდან მიღებული ზარალი

ღებუგი – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2.400

ღებუგი – არასაოპერაციო ზარალი 100

კრედიტი – მოკლევადიანი ინვესტიციები 2.500

5) 20X4 წლის ბოლოს საწარმომ გადაწყვიტა B საწარმოს 50 აქციის ხანგრძლივად შენარჩუნება. შესაბამისად, ახდენს მის რეკლასიფიკაციას გრძელვადიან ინვესტიციაში. ეს აქციები შეძენილია და აღიარებულია 2.000 ლარად. 20X0 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი საბაზრო ღირებულება შეადგენს 1.900 ლარს. სტანდარტული მოთხოვნების გათვალისწინებით, რეკლასიფიცირებული

მოკლევადიანი ინვესტიცია გრძელვადიანი ინვესტიციის შემადგენლობაში აისახება თვითღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. შესაბამისად, რეკლასიფიკაციის ოპერაცია გატარდება

ღებუგი – გრძელვადიანი ინვესტიციები 1.900

ღებუგი – არასაოპერაციო ზარალი 100

კრედიტი – მოკლევადიანი ინვესტიციები 2.000

6) საწარმომ 20X4 წლის თებერვალში D საწარმოში შეიძინა 20%-იანი წილი 7.000 ლარად. გადაწყვეტილია საწარმოში წილობრივი მონაწილეობის შენარჩუნება ხანგრძლივად. წილის შეძენის გაფორმებასთან დაკავშირებული იურიდიული და სანოტარო მომსახურების ხარჯმა 300 ლარი შეადგინა.

ღებუგი – გრძელვადიანი ინვესტიციები 7.300

კრედიტი – ეროვნული ვალუტა რეზიდენტ

ბანკში

7.300

ვალდებულებების აღრიცხვა

7.1. ვალდებულებების არსი და კლასიფიკაცია

ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და მის დასაფარად მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკურ სარგებელში განიკუთმებული რესურსების გასვლა. ვალდებულება წარმოიშობა ყოველდღიური სამეურნეო საქმიანობის პირობებში (მაგალითად, ნორმალურად ითვლება საწარმოს ვალდებულების წარმოშობა საქონლის ან მომსახურების მოწოდებისათვის), აგრეთვე, თუ საწარმოს სურს კარგი საქმიანობის ურთიერთობები შეინარჩუნოს დამკვეთთან ან სხვა მომხმარებლებთან. მაგალითად, თუ საწარმო გააგრძელებს საგარანტიო მომსახურების ელას საგარანტიო პერიოდის გასვლის შემდგომ, ამ ქმედებით გამოიწვეული მოსალოდნელი დანახარჯები იქნება ვალდებულებები.

ვალდებულების დაფარვა გულისხმობს საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადინებას მექანიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ვალდებულების დაფარვა ხდება სხვადასხვა გზით. მაგალითად:

- ა) ფულადი სახსრების გადახდით;
- ბ) სხვა აქტივების გადაცემით;
- გ) მომსახურების გაწევით;
- დ) ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლით ან ვალდებულების საკუთარ კაპიტალად გადაქცევის გზით. ვალდებულების დაფარვა შესაძლებელია სხვა საშუალებებითაც. მაგალითად, კრედიტორის მიერ მისაღებ თანხაზე უარის თქმით; ან
- ე) კრედიტორობის უფლების კონფისკაციით.

ვალდებულება წარმოიშობა გასული პერიოდის სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების შედეგად. ასე, მაგალითად, საქონლის შეძენა ან მომსახურების მიღება წარმოშობს შესაბამის საავტორო ვალდებულებას, თუ გადახდა წინასწარ ან შეძენისთანავე

არ ხდება, ხოლო ბანკიდან სესხის მიღება წარმოშობს ვალდებულებას ამ სესხის დასაფარავად. ვალდებულება ბალანსში მხოლოდ იმ შემთხვევაში აისახება, თუ მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს საწარმოო ეკონომიკურ სარგებელში განიკუთმებული რესურსების გასვლას და თუ შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგიერთი ვალდებულების ბუნსი ოდენობის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ თუ სამომავლო მოვალეობა აკმაყოფილებს ვალდებულების ყველა დანარჩენ კრიტერიუმს, იგი ჩაითვლება ვალდებულებად მაშინაც კი, როცა მისი ოდენობა მხოლოდ მიახლოებით უნდა იქნას. ასეთი ვალდებულების მაგალითად გასანახლებელი გარანტიებისა და საბენსიტო უზრუნველყოფის ვალდებულებების დასაფარი თანხები.

მომხმარებლისათვის ჟინანსური ანგარიშების ანუორმატია სასარგებლო რომ იყოს ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად, ვალდებულებები აქტივების მსგავსად დაჯგუფებული უნდა იყოს მათი დანიშნულებისა და ფუნქციების მიხედვით. ანუორმატიის დაჯგუფება კი უზრუნველყოფს უნდა იქნეს შესაბამისად ორგანიზებული აღრიცხვით.

საწარმოო განცალკევებული უნდა აისახოს ბალანსში გრძელვადიანი და მოკლევადიანი მუხლები. მათი წარდგენა ხდება ლიკვიდობის (მრდის ან შემცირების) მიხედვით.

მოკლევადიანია ვალდებულებები, რომლის დაფარვა მოსალოდნელია:

- ა) მიმდინარე საწარმოო ციკლის; ან
- ბ) ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიან ვალდებულებად.

საწარმოო ციკლი მოიცავს დროის იმ მონაკვეთს, რომელიც იწყება წარმოებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალების შეძენით და მთავრდება მზა პროდუქციის გაცვლით ნაღდ ფულზე, ან ისეთ ჟინანსურ ინსტრუმენტზე, რომელიც აღვილად გადაიქცევა ნაღდ ფულად.

ზოგიერთი მოკლევადიანი ვალდებულება, როგორცაა: საავტორო ვალდებულებები, დარიცხვები თანამშრომლებისათვის და სხვა საწარმოო ხარჯები, შეადგენენ სამუშაო კაპიტალის ნაწილს, რომელიც გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ჩვეულებრივ ციკლში. ასეთი მუხლები მოკლევადიან ვალდებულებად კლასიფიცირდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი უნდა დაიფაროს ბალანსის შედგენის თარიღიდან 12 თვის შემდეგ.

თუ ვალდებულება არ წარმოადგენს მიმდინარე საწარმოო ციკლის ნაწილს, მაგრამ მათი გადახდა გათვალისწინებულია ბა-

ლანსის შეღგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში, იგი კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, მაგალითად, მოკლევადიანი ვალდებულებები: პროცენგიანი ვალდებულებების, საბანკო ოვერდრაფტების, გადასახდელი დივიდენდების, შემოსავლებიდან გადასახდებისა და სხვა არაკომერციული გადასახდებების მიმდინარე სამეურნეო წელს გადასახდელი ნაწილი. საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოყენებული პროცენგიანი ვალდებულებები, რომელთა დაფარვა გათვალისწინებული არ არის 12 თვის განმავლობაში, განიხილება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საწარმოს ვალდებულება შეიძლება წარმოეშეას უცხოურ ვალუტაში, უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებიდან გამომდინარე. ასეთი გიპის ოპერაციებიდან ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც საწარმო:

- ა) ყიდულობს უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელსა და მომსახურებას;
 - ბ) იღებს ფულად სახსრებს, რომლის გადასახდელი თანხები განსაზღვრულია უცხოურ საგალუგო ერთეულში;
 - გ) მონაწილეობს საგარეო გაცვლით ხელშეკრულებაში; ან
 - დ) იძენს უცხოური ვალუტით შეფასებულ აქციებს, იღებს ან ფარავს უცხოური ვალუტით შეფასებულ ვალდებულებებს.
- უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად უნდა ბისახოს საბანგარიშგებო ვალუტით (ლარით), ოპერაციის შესრულების დღისათვის საბანგარიშგებო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის დაფიქსირებული გასაცვლელი საგალუგო კურსის მიხედვით.

ოპერაციის შესრულების დღეს დაფიქსირებულ გასაცვლელ საგალუგო კურსს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი.

ყოველი საბანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ვალდებულება წარდგენილ უნდა იქნეს საბოლოო საგალუგო კურსის გამოყენებით.

7.2. მოკლევადიანი ვალდებულებების აღრიცხვა

7.2.1. საწარმო ვალდებულებების აღრიცხვა

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, საწარმო გარეშე პარებისაგან შეიძენს საწარმოო მარაგს და მომსახურებას. შეძენა შეიძლება მოხდეს მომწოდებლისათვის ფულის წინასწარი, შეძენისთანავე ან შემდგომი გადახდით. შემდგომი გადახდით შეძენას კრედიტით შეძენას უწოდებენ და იგი ვულისხმობს გადახდის გადავადებას სახელშეკრულებო პირობებითა და ვადით მომწოდებელთან შეთანხმებულ ვადაში თანხის გადახდის ვალდებულება და სოფჯერ, ფულადი რესურსების დეფიციტის გამო, მომწოდებლის ვალის დროული გადახდულობა, წარმოშობს საწარმოს საეკატრო ვალდებულებას.

საეკატრო ვალდებულების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შეძენილ ფასეულობაზე ყველა რისკი და სარგებელი მყიდველის ხელში გადადის. საეკატრო ვალდებულება მოიცავს ყველა იმ თანხას, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს მომწოდებლის სასარგებლოდ, მათ შორის იმ თანხებს, რომელიც არ შედის შეძენილი მარაგის თვითღირებულებაში. ასეთი თანხებია შეძენასთან დაკავშირებული ირიბი გადასახადები (დღგ, აქციზი).

ვალდებულებების აღრიცხვის საბილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი ოპერაციები:

1. მომწოდებლისაგან მიღებულია ნედლეული და მასალები მიღებიდან 10 დღის ვადაში გადახდის პირობით. მარაგის ღირებულება 2.000 ლარია, აქციზი – 400 ლარი და დღგ – 432 ლარი. ნედლეულისაგან წარმოებული იქნება აქციზური საქონელი

დებეტი – ნედლეული და მასალები 2.000 (მუდმივი აღრიცხვისას) ან

დებეტი – ძირითადი მასალების დანახარჯები/ შეძენა (პერიოდული აღრიცხვისას) ან

დებეტი – დამხმარე მასალების დანახარჯები/ შეძენა (პერიოდული აღრიცხვისას)

დებეტი – გადახდილი დღგ 432

დებეტი – გადახდილი აქციზი 400

კრედიტი – მოწოდებიდან და მომსახურებიდან

წარმოქმნილი ვალდებულებები 2.832

2. გადახდილია მომწოდებლის ვალი 2,832 ლარი ეროვნული ვალუტის საბანკო ანგარიშიდან

ღებები – მოწოდებიდან და მომსახურებიდან

წარმოქმნილი ვალდებულებები 2,832

კრედიტი – ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 2,832

შენიშვნა: გამარჯვების მიზნით მომწოდებელ ოპერაციებში იგნორირებულია დღე და აქციაში. ამასთან, განიხილება მარაგის მუდმივი აღრიცხვის მეთოდი.

3. იმპორტირებულია არარეზიდენტისაგან შეძენილი 20,000 აშშ დოლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით. შეძენის მომენტში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში შეადგენს 1: 1,90

ღებები – საქონელი 38,000

კრედიტი – მოწოდებიდან და მომსახურებიდან

წარმოქმნილი ვალდებულებები 38,000

4. გადახდილია მომწოდებლის ვალი 20,000 აშშ დოლარი რეზიდენტი ბანკიდან, გადახდის მომენტში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში შეადგენს 1: 1, 95. მოცემული ოპერაციის გატარებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ვალუტის კურსი შეძენისა და ვალდებულების განადგობის მომენტში განსხვავებულია.

ღებები – მოწოდებიდან და მომსახურებიდან

წარმოქმნილი ვალდებულებები 38,000

ღებები – მარალი კურსთა შორის სხვაობიდან 1,000

კრედიტი – უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში 39,000

7.2.2. მიღებული ავანსების აღრიცხვა

მყიდველსა და მომწოდებელს შორის საეაქრო ურთიერთობაში ხშირად გამოიყენება წინასწარი გადახდა. მყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი თანხები მიმწოდებელ საწარმოში აისახება მიღებული ავანსის სახით, რომელიც მოკლევადიან ვალდებულებას წარმოადგენს. იგი ვალდებულებაა იმიტომ, რომ საწარმოს ევალება მიღებული ავანსის დასაბრუნება, ე. ი. სანაცვლო აქციების მიწოდება ან მომსახურების გაწევა. ავანსი, როგორც წესი, ცალკე ანგარიშზე აისახება. ავანსის მიღება ბუღალტრულად გატარდება

ღებები – ფულადი საშუალებების ანგარიში

კრედიტი – მიღებული ავანსები

ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას მცირდება მიღებული ავანსები ბუღალტრული გატარებით:

ღებები – მიღებული ავანსები

კრედიტი – გადასახდელი დღე (მიწოდების დღე-ით დაბეგვრისას)

კრედიტი – გადასახდელი აქციები (მიწოდების აქციებით დაბეგვრისას)

კრედიტი – შემოსავალი რეალიზაციიდან

ავანსის დაბრუნების ნაშთის დაბრუნება ბუღალტრულად გატარდება

ღებები – მიღებული ავანსები

კრედიტი – ფულადი საშუალებების ანგარიში

7.2.3. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოების აღრიცხვა

საწარმოში დასაქმებული მომუშავე, როგორც წესი, გასამრჯელოს იღებს როგორც მომსახურების გაწევის, ისე შრომითი საქმიანობის შემდგომ პერიოდში (მაგალითად: არასახელმწიფო სა-აქნისო დახმარება; შრომითი საქმიანობის შემდგომი საცოცხლის დაზღვევა; შრომითი საქმიანობის შემდგომი უფასო სამედიცინო მომსახურება და სხვ). გასამრჯელო, რომელსაც მუშაკი იღებს მომსახურების გაწევის (შრომითი საქმიანობის) პერიოდში, უმეტეს შემთხვევაში, განიხილება როგორც მოკლევადიანი გასამრჯელო.

მომუშავეს მოკლევადიან გასამრჯელოებს მიეკუთვნება:

- ხელფასები;
- მოკლევადიანი კომპენსირებადი გაცდენები (მაგალითად, ფასიანი წლიური შვებულება და ბიულეტენი) იმ პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც მომუშავემ გასწია შესაბამისი მომსახურება;

- გ) მოგებისა და პრემიაში მონაწილეობა იმ პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც მომუშავემ გასწია შესაბამისი მომსახურება; და
დ) არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო უმრუნველყოფა, ბინით უზრუნველყოფა, მანქანით მომსახურება, უფასო ან სუფსიდირებული საქონელი ან მომსახურება) თანამშრომელთათვის.

ზოგადად, მომუშავეს მოკლევადიანი გასამრჯელოს აღრიცხვა სწორხაზოვანია, რადგან ვალდებულების შესაფასებლად საჭირო არ არის აქტუარული დამკვეთი და არ არსებობს აქტუარული შემოსულობის ან ბარალის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მომუშავეს მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები უასდება დისკონტირების გათვალისწინებით. ეს პრინციპი გამოიყენება მაშინაც, როცა საწარმოს არსახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გასამრჯელოები დაგვიანებით გაიცემა.

მიუხედავად ამისა, რომ მომუშავე ყოველ სამუშაო დღეს საწარმოს უწყვეს მომსახურებას, ხელფასის სახით გასაცემა გასამრჯელო საწარმოში ან საერთოდ ქვეყანაში ჩამოყალიბებული გრადიენტის მიხედვით, პერიოდულად გაიცემა. ხელფასის გაიცემის პერიოდებს შორის საწარმოს ყოველდღიურად წარმოეშობა ვალდებულება მომუშავეს წინაშე. მიუხედავად ასეთი ვალდებულების წარმოშობისა, იგი ბუღალტრულ აღრიცხვას ყოველდღიურად არ ექვემდებარება. პრაქტიკაში ისიც ხდება, რომ მომუშავე საწარმოში წინასწარ (ივინსად) იღებს გასამრჯელოს, ხოლო საწარმოს მომსახურებას უწყვეს მომდევნო სამუშაო დღეებში. ამიგომ საბარაიხეო პრაქტიკაში გასამრჯელოს უაქტობრივი ვაცემა პირდაპირ ბისახება ფულადი სახსრების გასაელისა და ხარჯის, ან აქტივებ გაწეული დანახარჯის სახით.

მიმდინარე ვალდებულება არსებობს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური აღგერნაგევა, გარდა იმისა, რომ გადბიხადოს ეს გასამრჯელოები.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით, ხელფასი გაიცემა ყოველი ნახევარი თვის შემდეგ მაინც, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუმცა, ქვეყანაში დამკვიდრებული გრადიენტიდან გამომდინარე, ხელფასის ვაცემა საბნგბარიშგებო თვის დამთავრების შემდეგ 3-5 დღეში ხდება. ზოგ საწარმოში ეს ვადა ხანდახან უფრო ხანგრძლივია, ამიგომ მომუშავეს მიერ ყოველთვიურად გამომუშავებული თანხა ვალდებულების სახით დარიცხვას ექვემდებარება. ხელფასებისა და სხვა მოკლევადიანი გასამრჯელოების აღრიცხვასთან დაკავშირებით,

საჭიროა აღინიშნოს, რომ საწარმო, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ითვლება საგადასახადო აგენგად და შას ევალება მომუშავეთა გასამრჯელოებიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება და ბიუჯეტში გადბრიცხვა.

მოკლევადიანი გასამრჯელოების ბუღალტრული აღრიცხვის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე ოპერაცია (პერიოდული აღრიცხვის სასგეშისათვის).

1. დავრიცხა ხელფასი: ძირითად მუშებს 2,500; დამხმარე მუშებს 500; მშენებლობის მუშებს 800; ადმინისტრაციულ პერსონალს 400 ლარი

რეალიზაციიდან ამონაგების აღრიცხვა მოიცავს პროდუქციისა (საქონლის) და მომსახურების რეალიზაციიდან საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლების აღრიცხვას. ერთი შეხედვით, დანახარჯების ეკონომიკური შანაბარის მიხედვით აღრიცხვისას რეალიზაციიდან ამონაგებში უნდა შედიოდეს გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიც, მაგრამ სააღრიცხვო მიზნებით ისინი ცალკე ობიექტად განიხილება.

რეალიზაციის პროცესს ხშირად თან სდევს მესამე პირის კეთენილი თანხების მიღება. რადგან ამონაგები მოიცავს რეალური ღირებულებით შეფასებულ და საწარმოს ანგარიშში მიღებულ ამ მისაღებ ეკონომიკურ ხარჯებებს, იგი მესამე პირისათვის გადასაცემა თანხებისაგან განცალკევებით უნდა აღიარებოდეს. ეს ენება როგორც ირავი გადასახადის სახით საწარმოში შემოსულ (შემოსასვლელ) თანხებს, ისე მრწმუნებელის სახელით შეგროვილ თანხებს.

რეალიზაციიდან ამონაგების ბუღალტრული აღრიცხვის საბუღალტრო გეგმით შედგება ოპერაციები:

საწარმოში საქონლის ნაღდ ანგარიშზე გაყიდვიდან მყიდველისაგან მიიღო 2.360 ლარი, მათ შორის დღგ 360 ლარი

შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

დებეტი – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2.400
კრედიტი – შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან 2.000
კრედიტი – გადასახდელი დღგ 360

მყიდველისაგან დაბრუნებულია 236 ლარის საქონელი, უხარისხობის გამო. ფული გაცემულია საღატოოდან. საქონლის დაბრუნება გამოიწვევს დღგ-ის სავადსახალო ვალდებულების კორექტირებას 36 ლარით

დებეტი – გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა 200
დებეტი – გადასახდელი დღგ 36
კრედიტი – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 236

საწარმოს მიერ გაწეულია მომსახურება დანადგარების მონტაჟზე, რომლის ღირებულება 5.000 ლარს შეადგენს. მომსახურების მიმღები ფულს გადაიხდის 10 დღის ვადაში

დებეტი – მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 5.000
კრედიტი – შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან 5.000

ჟურნალის გამოცემელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმო ავრცელებს ჟურნალს და წლიური ხელმოწერის ღირებულების 10 %-ს ატოვებს საკომისიო შემოსავლის სახით. ჟურნალის ხელმოწერებისაგან საწარმოში შემოსულია 300 ლარი

დებეტი – ფულადი სახსრების ანგარიში 300
კრედიტი – საკომისიო შემოსავალი 30
კრედიტი – სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 270

აფასებულია წინა წელს ჩამოფასებულ საქონელი, აფასების საერთო თანხა 2.000 ლარს შეადგენს

დებეტი – საქონელი 2.000
კრედიტი – სხვა საოპერაციო შემოსავლები 2.000

იხურება დაბრუნებული საქონლისა და ფასდათმობის ანგარიში

დებეტი – შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	200
კრედიტი – გაყიდული საქონლის დაბრუნება და უასღათობა	200
წლის ბოლოს იხურება საბუღალტრო შემოსავლების ანგარიში ბრუნვის მოგებასა და ზარალის ანგარიშზე გადაგებით	
დებეტი – შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1800
დებეტი – შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	5000
დებეტი – საკომისიო შემოსავალი	30
კრედიტი – საბანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	8.830

11.3.5. ჩვეულებრივი საქმიანობის სხვა ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა

გრანტების აღრიცხვა. საწარმომ შეიძლება გრანტი სხვადასხვა ღონისძიებებში მიიღოს. მიუხედავად ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე, გრანტები სახელმწიფო გრანტებად იწოდება. სახელმწიფო გულისხმობს მთავრობას, სახელმწიფო სააგენტოებს და ანალოგიურ ადგილობრივ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სახელმწიფო გრანტები არის სახელმწიფოს მიერ საწარმოსათვის გაწეული დახმარება რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული, წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. აქ არ იგულისხმება ასეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან.

გრანტები შეიძლება იყოს **ფულადი და არაფულადი**. არაფულადია, მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების პაგი-

ტი. გრანტები ასევე შეიძლება პირობითად დაიყოს აქციებთან და სხვა შემოსავლებთან დაკავშირებულ გრანტებად. გრანტი საწარმოს, უპირველეს ყოვლისა, იმისათვის ეძლევა, რომ შეიმოსოს, შექმნას, ააშენოს ან რაიმე სხვა გზით მოიზიდოს გრძელვადიანი აქციები. გრანტი შეიძლება ითვალისწინებდეს დამატებით პირობებსაც, რომელიც განსაზღვრავს აქციის სახეობას, მათი შეძენის ან უღობის პერიოდს.

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით, თუ არსებობს დამატებითი რისკი, რომ:

- საწარმო შეასრულებს მასთან დაკავშირებულ პირობებს; და
- გრანტი იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტების აღიარებისათვის მნიშვნელოვანი ზომებია იმის დამაფიქრებელი დასტურის არსებობა, რომ შესრულება გრანტთან დაკავშირებული პირობები. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ გატეხული ნაპატივები სესხი (სესხის დაბრუნებაზე ნებაყოფლობითი უარი სესხის გამცემის მხრიდან, გარკვეული, აღრე შეთანხმებული პირობების თანახმად) იგივე სახელმწიფო გრანტია, თუ არსებობს იმის დასაბუთებული გარანტია, რომ საწარმო შეასრულებს სესხის პატივების პირობებს.

სახელმწიფო გრანტთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს გრანტით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გრანტით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა. ამ წესის დაცვის მიზნით, თავიდანვე უნდა გაირკვეს გრანტის სიზიარე – უკავშირდება იგი გვერდითი ხარჯების ან მიღებული ზარალის კომპენსაციას თუ აქციებს, მომავალში გასაწევი ხარჯებისათვის.

აქციებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები რეალური ღირებულებით, თავდაპირველად აღიარდება და ბალანსში აისახება გრანტის გადავიდებული შემოსავლის სახით.

მიზანშეწონილი არ არის სახელმწიფო გრანტების აღიარება შემოსავლების სახით მათი მიღებისთანავე (საკასო მეთოდით). გრანტის მიღებისთანავე მისი შემოსავლის სახით აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც გრანტით დასაფარავი დანახარჯები უკვე გაწეულია და არ არსებობს სხვა საანგარიშგებო პერიოდებზე გრანტის გადახანაწილების საფუძველი. სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსა-

დაის სახით, ან საწარმოს გადამღებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო ხარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის შემოსავლად ან, თუ მართებულია, განსაკუთრებულ მუხლად, როდესაც იგი იქნა მიღებული.

სახელმწიფო გრანტი უნდა აღიარდეს შემოსავლის სახით, გრანტით დასაფარი ხარჯების პროპორციულად იმ პერიოდებში, როდესაც ხდება შესაბამისი დანიხარჯების გაწევა, არ შეიძლება გრანტი დაკრედიტდეს უშუალოდ შესაკუთრეთა კაპიტალში.

გადავადებული ანუ მოპაედი პერიოდის შემოსავლის სახით ასახული სახელმწიფო გრანტების შემოსავლად აღიარება ხდება სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე დაყრდნობით, აქტივის გამოყენების მთელი უადის განმავლობაში.

ამორტიზებად აქცეუბთან დაკავშირებული გრანტების აღიარება შემოსავლების სახით ხდება მოცემულ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვის პროპორციულად, ყველა საანგარიშგებო პერიოდში.

არამორტიზებად აქცეუბთან დაკავშირებული გრანტები შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს გარკვეული ვადებულებების შესრულებას ასეთი გრანტების აღიარება შემოსავლებას სახით ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც გაწეული იქნება ამ ვადებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დანიხარჯები. მაგალითად, მიწის გრანტი შეიძლება შეიცავდეს მიწის ნაკვეთზე გარკვეული შენობა-ნაგებობების მშენებლობის პირობას. ამავტომ გრანტის აღიარება შემოსავლების სახით მიმინშეწონილია მოხდეს მოცემული შენობა-ნაგებობების მომსახურების მთელი უადის განმავლობაში.

შემოსავლად აღიარებული გრანტები ბისახება მოვებისა და გარალის ანგარიშგებაში, შემოსავლების შემადგენლობაში ან ცალკე მუხლის სახით, სახელწოდებით „სხვა შემოსავლები“.

განვიხილოთ გრანტთან დაკავშირებული კერძო შემთხვევები.

1. საწარმომ მიიღო სახელმწიფო გრანტი 10.000 ლარი. გრანტის პირობათ, საწარმომ შექმნას დამატებით 20 სამუშაო ადგილი და დამატებით მიღებული მომუშაუების გასამრჯელოების კომპენსირებისათვის გამოიყენოს გრანტის თანხები, საანგარიშგებო წლის ბოლომდე, თუ საწარმო დარწმუნებულია იმაში, რომ იგი შეასრულებს გრანტის პირობებს, მიღებული თანხა მიმდინარე პერიოდის შემოსავლად განიხილება და იგი ბუღალტრულად გაგარდება

დებეტი - ფულადი სახსრების ანგარიში	10.000
კრედიტი - სხვა საოპერაციო შემოსავალი	10.000

2. საწარმომ მიიღო სახელმწიფო გრანტი 22.000 ლარი 20X1 წლის ბოლოს, მომდევნო 2 წლის განმავლობაში მაღალმთიან რაიონში ალტერნატიული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხები უნდა მოხმარდეს დასახლებულ პუნქტებში მიმავალი გზისა და ხიდების რემონტს, რომელიც 25.000 ლარის დანიხარჯების საჭიროებს. აქედან 20X2 წელს სამუშაოების შესასრულებლად დანიხარჯება 19.000 ლარი. საწარმოს ინგერესი იმაში მდგომარეობს, რომ მას ერთი ტურისტული ბაზა გააჩნია მოცემულ დასახლებულ პუნქტში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ტურისტთა ჩაოდენობის მიღებას, ამავტომ გადაწყვიტა კერძო პირებთან გაერთიანებული კონტრაქტების შესაბამისად, ტურისტები მიიღოს კერძო გაბქირებულთა სახლებში. გრანტის მიღებისას იგი შემოსავალში გაგარდება მომიედი პერიოდის შემოსავლის სახით

დებეტი - ფულადი სახსრების ანგარიშები	22.000
(თუ თანხები ერთბაშად მიღებულია)	
ან	

დებეტი - სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	22.000
(გრანტზე დარიცხული მოთხოვნები, როდესაც თანხები მემოეა ეგაოსობრივად)	

კრედიტი - გადავადებული შემოსავალი	22.000
-----------------------------------	--------

20X2 წელს საწარმო შემოსავლად აღიარებს გრანტის ნაწილს, დანიხარჯების პროპორციულად. დავუშვათ, საწარმომ 25.000 ლარის სამუშაოებიდან 20X2 წელს შეასრულა 20.000 ლარის სამუშაო შესაბამისად, 20X2 წლის ბოლოს გრანტიდან შემოსავლად აღიარებული იქნება 17.600 (22.000/25.000*20.000) ლარი

დებეტი - გადავადებული შემოსავალი	17.600
კრედიტი - სხვა საოპერაციო შემოსავლები	17.600

ანალოგიურად, გრანტის დირჩენილი ნაწილი შემოსავლად გაგარდება მომდევნო წელს.

3. საწარმომ მიიღო გრანტი 10.000 ლარის ოდენობით, აღრიცხული დანიხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში გრანტის მიღების შემდგომი პერიოდის ხარჯები გრანტთან არ იქნება დაკავშირებული. ამავტომ გრანტი აღიარებული იქნება შემოსავლად მიღებისთანავე. გრანტის მიღება შემოსავალში ბუღალტრულად გაგარდება

ღებუგი - ფულადი სახსრების ანგარიშები 10.000
(თუ თანხები მიღებულია გრანტის გამოყოფისთანავე)

ან

ღებუგი - სხვა მოკლევადიანი
მოთხოვნები 10.000

(გრანტზე ღარიცხული მოთხოვნები, როდესაც თანხები შემოვა გრანტის მიღების შემდეგ)

კრედიტი - განსაკუთრებული შემოსავლები 10.000

4. ბუჯის მწარმოებელმა საწარმომ გეგმიური გადაიარაღების მიზნით მიიღო სახელმწიფო გრანტი 10.000 ლარის ოდენობით საწარმო ვარაუდობს 15.000 ლარის ღირებულების ახალი დანადგარების შეძენას. გრანტის დამატებითი პირობაა საწარმოს წლიური ბრუნვის გაზრდა 15 %-ის ოდენობით. საწარმო დარწმუნებულია გრანტის პირობის შესრულებაში და გრანტს აღიარებს გადავადებული შემოსავლის სახით, დაეუშვას, შემდეგი გატარებით

ღებუგი - ფულადი სახსრების ანგარიშები 10.000

კრედიტი - გადავადებული შემოსავალი 10.000

გრანტი შემოსავლად აღიარებული იქნება ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ვადაში ცვეთის პროპორციულად. დავეუშვათ, შეძენილი დანადგარების ექსპლუატაციის ვადა 10 წელია და ცვეთის ღარიცხვა მოხდება წრფივი მეთოდით. შესაბამისად, 10 წლის მანძილზე ყოველწლიურად შემოსავალი გრანტიდან აღიარებული იქნება 1.000 ლარი ბუღალტრული გატარებით

ღებუგი - გადავადებული შემოსავალი 1.000

კრედიტი - სხვა საოპერაციო
შემოსავლები 1.000

მოცემული ოპერაციის შედეგის უფრო ნათლად დასანახად, განვიხილოთ ანგარიშგების შესაბამისი მონაცემები გრანტის მიღებიდან სამი წლის მიხედვით

	I წელი	II წელი	III წელი
I მანქანა-დანადგარების ღირებულება	15.000	15.000	15.000
დაგროვილი ცვეთა	1.500	3.000	4.500
საბალანსო ღირებულება	13.500	12.000	10.500
II ცვეთის ხარჯი (15.000/10)	1.500	1.500	1.500
III სახელმწიფო გრანტის შემოსავალი (10.000/10)	1.000	1.000	1.000

მართალია, გრანტის აღიარების უმთავრესი კრიტერიუმია გრანტის პირობების დაკმაყოფილების დამაჯერებელი რწმუნება, მაგრამ ვარკვეულ ვარემოებათა გამო შეიძლება საწარმოს გრანტის დაბრუნება მოუწიოს. ეს, თავის მხრივ, საწარმოს ხარჯებს ზრდის, გრანტის დაბრუნების კავშირს ხარჯების ზრდასთან მოწიბოს საბალრიცხო სტანდარტების მოთხოვნა, რომ სახელმწიფო გრანტები, რომლის დაბრუნებამაც წარმოიშობა მოთხოვნა, განხილულ უნდა იქნეს როგორც საბალრიცხო შეუისინების გადასინჯვა. შემოსავლებთან დაკავშირებული გრანტის დაბრუნება, პირველ რიგში, უნდა დაუპირისპირდეს ამ გრანტიდან წარმოშობილ არაამოტრტიზებულ გადავადებულ შემოსავალს. თუ გრანტის დასაბრუნებელი თანხა აღემატება ასეთი გადავადებული შემოსავლის თანხას, ან, როდესაც არ არსებობს გადავადებული შემოსავალი, გრანტის დასაბრუნებელი თანხა დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ხარჯის სახით. თუ დასაბრუნებელია აქციეთან დაკავშირებული გრანტის თანხა, იგი აისახება გადავადებული შემოსავლების ნაშთის შემცირებით დასაბრუნებელი თანხის ოდენობით. დაგროვილი დამატებითი ცვეთის თანხა, რომელიც აღიარებული იქნებოდა დაბრუნებამდე, გრანტის არარსებობის პირობებში დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ხარჯის სახით.

აღნიშნულის საილესტრაციოდ დაუებრუნდეთ მეოთხე შემთხვევას და დაეუშვათ, რომ საწარმოს მეოთხე წელს წარმოეშვა სახელმწიფო გრანტის დაბრუნების ბუცილებლობა. გრანტი უნდა დაბრუნდეს სრული ოდენობით.

	თანხა, ლარი
I მანქანა-დანადგარების ღირებულება	15.000
დაგროვილი ცვეთა	4.500
საბალანსო ღირებულება	10.500
II გადავადებული შემოსავლების ნაშთი	7.000
III დასაბრუნებელი გრანტი	10.000
IV გადავადებულ შემოსავალზე დასაპირისპირებული გრანტი	7.000
V ხარჯად აღიარებული გრანტი	3.000

გრანტის დაბრუნების ვალდებულების წარმოშობისას აღვილი იქნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებას

ღებუგი - გადავადებული შემოსავალი 7.000

ღებუგი - გრანტის დაბრუნების ხარჯი 3.000

კრედიტი - სხვა მოკლევადიანი
ვალდებულებები 10.000

სესხთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხად აღებული ფულადი სახსრების დაბრუნებასთან ერთად, სესხის ამღები პროცენტს იხდის, საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე. ამასთან, სესხის აღებასა და დაბრუნებას შეიძლება ახლდეს სხვა დანახარჯებიც. ეს დანახარჯები, სესხის პროცენტთან ერთად, შეადგენს სესხთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირი ან არაპირდაპირი ვით ხარჯად აღიარებას ექვემდებარება. სესხზე დანახარჯების აღრიცხვის საბაზისო მეთოდის მიხედვით, სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები უნდა აღიარდეს ამ პერიოდის ხარჯებად, როდესაც იქნა გაწეული, მოცემული მეთოდის გამოყენებისას, სესხის მიერ სახის, უბლისა და დანიშნულების სესხზე დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯის სახით. ხარჯის აღიარება ბუღალტრული გაგირდება.

ღებები – საპროცენტო ხარჯები

კრედიტი – გადასახდელი პროცენტები

(დარიცხულ ვალდებულებად აღიარების დროს) ან

კრედიტი – ფულადი სახსრების ანგარიშები

(დარიცხულ ვალდებულებად აღიარების გარეშე გადახდის დროს)

ვალუტის კურსის ცვლილება. ვალუტის კურსის ცვლილება საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯებზე გავლენას მაშინ ახდენს, როდესაც იგი ოპერაციებს უცხოური ვალუტით აწარმოებს. როგორც წესი, უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად აისახება ოპერაციის შესრულების დღისათვის, საანგარიშგებო ვალუტისა და მოცემულ უცხოურ ვალუტის შორის დაფიქსირებულ გასაყველად სავალუტო კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კი უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი საბალანსო მუხლები წარდგენილ უნდა იქნეს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. ცხადია, ვალუტის კურსის ცვლილების გამო, იცვლება ფულადი საბალანსო მუხლების ღირებულება, რაც, თავის მხრივ, შესაძამის ბუღალტრულ ასახვას მოითხოვს.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი საბალანსო მუხლების განადგობის ან საწარმოს მიერ საანგარიშგებო თარიღისათვის ფულადი მუხლების წარდგენისას საბოლოო სავალუტო კურსის მიხედვით, რომელიც განსხვავდება თავდაპირველ აისახვისათვის გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების სავალუტო კურსისაგან, უნდა აღიარდეს შემოსავლების ან ხარჯების სახით ამ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა აქედან გამომდინარე, თუ ანგარიშსწორება მოხდა იმავე საანგარიშგებო პერიოდში.

როდესაც ოპერაცია განხორციელდა, მაშინ ყველა საკურსო სხვაობა აღიარებული იქნება იმავე საანგარიშგებო პერიოდში. მაგრამ, როდესაც ანგარიშსწორება ხორციელდება შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში, საკურსო სხვაობა, რომელიც აღიარებულია ყოველ შუალედურ პერიოდში ანგარიშსწორების პერიოდამდე, განისაზღვრება ამ პერიოდში საკურსო სხვაობის ცვლილებით.

მაგალითი

საწარმოს საქონლის იმპორტთან დაკავშირებით 20X1 წლის მაისში წარმოეშვა უცხოელი მომწოდებლის ვალდებულება 5.000 აშშ დოლარი, რაც ვალდებულების წარმოშობის მომენტში 10.000 ლარს შეადგენდა. ამავე წლის სექტემბერში გადაიხდა 2.000 აშშ დოლარი. გადახდის მომენტში 1 აშშ დოლარის გასაყველად კურსი 1.95 ლარს შეადგენდა, ხოლო მთლიანი კურსთა შორის სხვაობა – 100 ლარს. ქონის ნაწილის გადახდა ბუღალტრულად აისახება

ღებები – მოწოდებიდან და მომსახურე

ბიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 4.000

კრედიტი – ფულადი სახსრების ანგარიში 3.900

კრედიტი – მოგება კურსთა შორის სხვაობიდან 100

საწარმომ საანგარიშგებო წელს ეერ შემო მომწოდებლის ქონის გასაგებება, 20X1 წლის 31 დეკემბერს დოლარის გასაყველად კურსი 2,05 ლარს შეადგენდა. ბალანსში ვალდებულება უნდა აისახოს 31 დეკემბრის გასაყველად კურსით, რაც 3.150 ლარს შეადგენდა. 150 ლარი საკურსო სხვაობაა, რაც ხარჯის სახით უნდა აისახოს.

ღებები – მარალი კურსთა შორის

სხვაობიდან 150

კრედიტი – მოწოდებიდან და მომსახურე

ბიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 150

გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული მოგება და მარალი. ძირითადი საშუალება შეიძლება გაყიდეს მათი მწყობრიდან გამოსვლის ან გაყიდვის გამო. მწყობრიდან გამოსვლი აქტივი ჩამოიწერება საბალანსო ღირებულებით, რაც საწარმოს საფარადლო მისაღები სარგებლის ნაწილია, რომლის ამოღებაც ეერ მოესწრო. ეს საწარმოს მარალია, რომელიც აქტივის გახელისას ხარჯის სახით უნდა აღიარდეს. მაშინ, როდესაც აქტივი იყიდება, საწარმო იღებს მოგებას ან მარალს, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ შედეგზე და ეს თანხა აღიარებული იქნება

მოგებისა და მარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავალი ან ხარჯი. ოპერაციების ბუღალტრული გაგარების საილუსტრაციო განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

1. საწარმომ გაყიდა საგვითო ავტომობილი 2.000 ლარად. ავტომობილის სააღრიცხვო ღირებულება 4.500 ლარია, აკუმულირებული ცვეთა – 3.000 ლარი. თანხა მიღებულია საბაროში

დებეტი – საგრანსპორტო საშუალებების ცვეთა 3.000

დებეტი – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 2.000

კრედიტი – საგრანსპორტო საშუალებები 4.500

კრედიტი – მოგება ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან 500

2. საწარმომ შენობა გაყიდა 20.000 ლარად. შენობის საბარო ცხვო ღირებულება 70.000 ლარია. აკუმულირებული ცვეთა – 48.000 ლარი. თანხა მიღებულია საბაროში

დებეტი – შენობების ცვეთა 48.000

დებეტი – ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 20.000

დებეტი – ზარალი ძირითადი საშუალებების

გაყიდვიდან 2.000

კრედიტი – შენობები 70.000

11.4. არაორდინალური შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შედეგის გაანგარიშებაში მონაწილე შემოსავლებისა და ხარჯების ყველა ელემენტი, ფაქტობრივად, თავს იჩენს საწარმოს ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში. მაგრამ იშვიათად ხდება ისეთი არაორდინალური მოვლენა, რომლის შედეგი საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ელემენტები განსაკუთრებული მუხლის სახით. განსაკუთრებული მუხლები არის საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობისაგან ამკარად განსხვავებული სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც არ შეორდება რეგულარულად ან ხშირად.

განსაკუთრებული მუხლების წარმომშობი გარემოებებია: ექსპროპრიაცია, მიწისძვრა ან სხვა სტიქიური უბედურება.

განსაკუთრებული მუხლები აუცილებელია ცალკე აღრიცხვად.

მაგალითი

20X1 წელს მიწისძვრის შედეგად (მიწისძვრა ამ რეგიონში იშვიათად ხდება) დაინგრა საწარმოს მშენებარე სამრეწველო შენობის კორპუსი. ექსპერტების შეფასებით მშენებლობის ნაგრევებიდან შესაძლებელია გამოსაყენებლად გარგისი 5.000 ლარის სამშენებლო მასალის მიღება, რისთვისაც 500 ლარის დანიხარჯები იქნება აუცილებელი. მშენებლობის დანიხარჯი 14.000 ლარს შეადგენდა

დებეტი – განსაკუთრებული ხარჯები 9500

კრედიტი –2120 დაუმთავრებელი მშენებლობა 9.500

მომდევნო წელს საწარმომ ზარალიდან თავის დასაღწევად მიიღო სახელმწიფო გრანტი, გაღებული ფინანსური მხარდაჭერის სახით 6.000 ლარის ოდენობით

დებეტი – 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 6.000

(გრანტზე დარიცხული მოთხოვნები, როდესაც

თანხები შემოვა გრანტის მიღების შემდეგ) ან

დებეტი – ფულადი სახსრების ანგარიშები 6.000

(თუ თანხები მიღებულია გრანტის გამოყოფისთანავე)

კრედიტი –განსაკუთრებული შემოსავლები 6.000

გადასახადების აღრიცხვა

12.1. მოგების გადასახადის აღრიცხვა

12.1.1. საგადასახადო უპირობოებო და ხარჯები

საგადასახადო კანონმდებლობა საწარმოთა მოგების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის იყენებს შემოსავლებასა და ხარჯების გამოთვლის თავისებურ ღებულებებს, რომელსაც საწარმოს სააღრიცხვო მოგებისაგან განსხვავებულ დასაბეგვრ მოგებებზე მიეყვება.

სააღრიცხვო მოგება არის საინგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან მარალის თანხა საგადასახადო ხარჯის გამოქვითვამდე.

საგადასახადო (დასაბეგვრი) მოგება (საგადასახადო მარალი) არის საგადასახადო კოდექსის წესებით განსაზღვრულ საინგარიშგებო პერიოდის მოგება (მარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა (დაბრუნება).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგვრი მოგება. აუგანისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადასახდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვის თანხებს შორის.

ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც არ ექვემდებარება გამოქვითვას, საგადასახადო კოდექსის დებულებათა თანახმად.

გადასახადის გადასახდელმა საგადასახადო მიზნებისათვის აღრიცხვა უნდა აწარმოოს საკასო ან დარიცხვის მექანიზმით – ამ პირობით, რომ იგი ერთსა და იმავე მექანიზმით გამოიყენებს საგადასახადო წლის განმავლობაში კოდექსისეული ეს ნორმა თითქმის გადასახადის გადასახდელს უფლებას აძლევს, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი დარიცხვისა და საკასო მექანიზმებს შორის. მაგრამ ეს არჩევანი შეზღუდულია, რადგან საგადასახადო კოდექსის მო-

თხოვნიდან გამომდინარე, გადასახადის გადასახდელის მიერ შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება საკასო ან დარიცხვის მექანიზმი, ამის მიხედვით, თუ რომელ მექანიზმს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის, კოდექსის ამ ნორმიდან გამომდინარე, თუ საწარმო არ დაირღვეს სააღრიცხვო სტანდარტებით დადგენილ წესებს, მაშინ მან, ფინანსური ინგარიშგების მიზნებისათვის, და შესაბამისად, საგადასახადო მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მოლოდ დარიცხვის მექანიზმით უნდა გამოიყენოს, რაც შეეხება საკასო მექანიზმს, მისი გამოყენება ადრით, დასაბეგვრია, ინდივიდუალურა შეწარმის დასაბეგვრი შემოსავლის დასაბეგვრად.

თავისთავად ცხადია, როცა საწარმო სააღრიცხვო და საგადასახადო მიზნითაც დარიცხვის მექანიზმს იყენებს, თითქმის განსხვავებულ მოგებას არ უნდა ეძლეოდეს. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო მიზნითაც გამოიყენება (მოგება) უნდა განისაზღვროს იმავე მექანიზმით, რომელსაც გადასახადის გადასახდელს იყენებს ბუღალტრული აღრიცხვისათვის, არსებობს სხვა მოთხოვნა. კერძოდ, საგადასახადო კოდექსი აძლევს ხარჯებს, რომელიც არ შეიძლება გამოიქვითოს, იმისთან, ვარკვეულა ხარჯების მაშინაც იყენებს შეზღუდვას ან გამოქვითვის თავისებურ განრიგს. ამიტომ, დასაბეგვრი შემოსავლის (მოგების) კორექტირება ხდება კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. თუ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების მიხედვით გადასახდელის ბუღალტრული აღრიცხვის მიხედვით და კოდექსით დადგენილი მდგომარეობა განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაშინ დასაბეგვრი ობიექტის განსაზღვრის მიზნით, პირმა უნდა უზრუნველყოს გამოქვითვების საგადასახადო აღრიცხვა.

ქვემოთ განხილულია საგადასახადო კოდექსის მოგებთან მოთხოვნა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება სააღრიცხვო სტანდარტებით დადგენილი წესებისაგან (თემის სიღრმისეული შესწავლისათვის აუცილებელია საგადასახადო კოდექსის ცოდნა).

საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე:

- არ გამოიქვითება ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო ეკონომიკურ საქმიანობასთან.

სააღრიცხვო მოგების დასაბეგვრად, ხარჯად აღიარების ექვემდებარება ყველა ვასავალი, რომელიც საინგარიშგებო პერიოდის შემოსავლებს უკავშირდება. მაგალითად, საწარმოს მიერ გადახდილი საქველმოქმედო თანხა სააღრიცხვო ხარჯად, მაგრამ საგადასახადო მიზნით შემოსავლიდან გამოიქვითება მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის გადახდილი შეწირულობის თანხა, არაუმეტეს დაბეგვრამდელი საგადასახადო მოგების 8 პროცენტის

ოღუნობით მისზე მეტა ოღუნობით საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის გადახდილი ანდა სხვა პირებზე ქველმოქმედებით გაყვნილი თანხები არ გამოიყენებოდა, რადგან ეკონომიკურ საქმიანობას არ უკავშირდება.

- არ ღიიშვება გართობაზე გაწეული ხარჯების გამოქვითვა. ეს ხარჯები შეიძლება გამოიქვითოს იმ საწარმოში, რომელიც ეწევა გართობითი ხისიბითის საშეწარმოო საქმიანობას, თუ ხარჯება გაწეულია ასეთი საქმიანობის ფარგლებში.

მაგალითად, საწარმო თუ თავისი თანამშრომლებისათვის მართავს საბაზოლო სანეიმო საღამოს (გასართობ ღონისძიებებს) დახარჯული თანხა საგადასახადო მოგვების დასადგენად არ გამოიქვითება, თუშეა იგი სააღრიცხვო მოგვების შეამცილებს.

- არ გამოიქვითება ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ღატარებებიდან, კაზინოებიდან, აბარტული ან სხვა მომგებიანი თამაშებიდან მიღებულ მოგვებისთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელუასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოყვნილი ღებულება, უმთავრესად, საანგერესობა ინდივიდუალურ მეწარმეებთან მიმართებაში. ინდივიდუალური მეწარმის მიერ დაქირავებული მომუშავეისათვის გადახდილი ხელუასი გამოსაქვითი ხარჯების კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ საკუთრად თავისა საჭიროებისათვის გახარჯული თანხა, ხარჯად არ აღიარდება, ეიდრე მისი შემოსავალი არ დაბეგრება.

- კრედიტისათვის გადახდილი პროცენტები გამოიქვითება არა უმეტეს კრედიტის (სესხის) წლიური 24 პროცენტის ფარგლებში.

სააღრიცხვო მოგების მიმნებასათვის სესხზე გადახდილი პროცენტი ხარჯად აღიარებას ექვემდებარება სრული ოღუნობით საგადასახადო მოთხოვნა კი ზღუდვს დადგენილი ზღვრით. მაგალითად, საწარმოში სესხა აიღო 10.000 ლარი ერთი წლით წლიური 25 პროცენტის პირობით და გადაიხადა სესხის პროცენტი 2.500 ლარი. საგადასახადო მიმნით გამოსაქვითო საპროცენტო ხარჯი 2.400 ლარს შეადგენს. საწარმოს მიერ გადახდილი 100 ლარი არ გამოიქვითება საგადასახადო მოგების გაანგარიშებისას. იგი არის სხვაობა სააღრიცხვო და საგადასახადო მოგვების შორის.

- გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გამოქვითოს რეალურულ საქონელთან, სამუშაოსა და მომსახურებასთან დაკავშირებული უიშელო ვალები, რომელთა მიხედვით მისადები შემოსავლები წინა საანგარიშგებო პერიოდებში შეტანილი იყო ეკონომიკურა საქმიანობით მიღებულ ერთობლივ შემოსავალში. უიშელო ვალების გამოქვითვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევებში,

მა, თუ დაედიიანება ჩამოწერილი და ასახულია გადასახადის გადამხდელის საბუღალტრო ბუგარიშვებში.

სგანდარტებიდან გამომდინარე, საწარმო უფლებამოსილია ხარჯად აღიაროს საუკუო მოთხოვნების კორექტირებას თანხა. იგი საგადასახადო მოგვების მიმნებისათვის არ იქნება გამოქვითული მნიშვნელობა. საწარმო მოთხოვნა უიშელო არ ვახდება და ვიღისახადის გადამხდელი მეიდველის ღებდატრულ დაედიიანებას არ ჩამოწერს. ამასთან, აუცილებელია, რომ ჩამოსაწერი უიშელო კალი წინა წლის ბუგარიშვებში იყოს ჩართული. ე.ა. მიმდინარე წელს წარმომადილი და უიშელოდ ცნობილი ვალის გამოქვითვა შეძლებულია. მაგალითად, საწარმოში თავისი გამოდიილების გათვალისწინებით ხარჯად აღიარა საუკუო ვალების კორექტირება 5.000 ლარი. ამავდროულს ჩამოწერა უიშელო მოთხოვნა 3.000 ლარი. აქედან 700 ლარი მიმდინარე წელს განსვორციელებულია მაწოდებიდან იყო. საგადასახადო მოგვების დასადგენად საწარმოში გამოქვითვის მხოლოდ 2.300 ლარს. 2.700 ლარი კი საგადასახადო და სააღრიცხვო მოგვების შორის სხვაობას წარმოადგენს.

- ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძაბითადი სამუშაოების ეკვთის ხარჯები გამოიქვითება, ძაბითადი სამუშაოების ჯგუფებისათვის დადგენილი ეკვთის ნორმის შესაბამისად ან მთლიანად აღიარდება ხარჯად, თუ აქტივი შეტენილია 2005 წლის 1 იანვრის შემდეგ და საწარმო იყენებს ამ მეთოდს.

სააღრიცხვო მიმნებისათვის ძაბითად სამუშაოებს ეკვთა ვრცელება საწარმოს ხელშეღვანულების მიერ შერჩეული ეკვთის პოლიტიკის მიხედვით. შესაბამისად, საგადასახადო მიმნებისათვის გამოსაქვითი ეკვთის თანხა განსხვავდება სააღრიცხვო მიმნით ხარჯად აღიარებული ეკვთის თანხისაგან.

- გულოგიურ კვლევებსა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელ სამუშაოებზე გაწეული ხარჯები გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან საამორგანიზაციო ახარციების სახით 20 პროცენტის ოღუნობით. იგივე მოთხოვნა ვრცელდება იმ არამაგერიადლური აქტივების ხარჯებზედაც, რომლებიც გაწეულა გადასახადის გადამხდელის მიერ ბუნებრივი რესურსებსა გულოგიურა კვლევას, დამუშავების ან ექსპლუატაციის უფლების შეტენასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გიბის კაპიტალიზებული დანახარჯები სააღრიცხვო მიმნით ამორგანიზაციას ექვემდებარება, საწარმოს თვალისმჩინებათ დადგენილი ვალიდან გამომდინარე. შესაბამისად, ხარჯებად აღიარების განსხვავებულ ვრაუიკთან გუეენება საქმე, რადი სააღრიცხვო და საგადასახადო მოგვებითა არაერთგვაროვნების წინააღ-

რობა იქნება იმავე ეხება მეძით ხსენებულ არამაგერიალურ აქტივებს.

- არამაგერიალური აქტივების ხარჯები გამოიქვეითება მისი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, საბუნებრივ პერიოდის პროპორციულად. თუ შეუძლებელია სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრა, ამორტიზაციის ნორმა განისაზღვრება ღირებულების 15 პროცენტის ოდენობით.

სააღრიცხვო მიზნებისათვის არამაგერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას ადგენს საწარმოს ხელმძღვანელობა და იგი არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს. საგადასახადო მიზნებით 15 პროცენტის ნორმის გამოყენება აუცილებლად განსხვავდება ამორტიზაციის ხარჯთან მიგვიყვანს.

- არ გამოიქვეითება:
 - ა. მოგებას გადასახადი და სამუშაოსათვის გადასახადი, რომლებიც გადახდილია საქართველოში ან სხვა სახელმწიფოში;
 - ბ. ბიუჯეტში შესატანი ან შეტანილი სანქციების თანხები.

სააღრიცხვო მოგებას განმარტებულია გამომდინარე, იგულისხმება ღებულობადი მოგება და, ცხადია, მოგების გადასახადი ჯერ ხარჯად არ არის აღიარებული. რაც შეეხება ჯარიმებისა და საკრიკების თანხებს, იგი სააღრიცხვო მიზნებით ხარჯებას შეძლებული ნაწილია და კოლექსის მოცემული დებულებას შეიძლება სხვაობის წარმოშობის განაპირობებს.

- სასაქონლო-მაგერიალური მარაგის აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დეფექტური ან მოძველებული და მოდიდან გამოხული საქონელი, რომლის რეალიზაციაც შეუძლებელია მის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებზე (შეძენის ფასზე) მეტ ფასად, შეიფასოს ამ საქონლის შესაძლო სარეალიზაციო ფასით.

მოცემული დებულება საწარმოს უფლებას აძლევს, აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენოს ნეგო სარეალიზაციო ღირებულება, რომელიც ნაკლები იქნება თვითღირებულებამდე. სააღრიცხვო პრინციპებიდან გამომდინარე კი, საწარმო ვალდებულია თვითღირებულებასა და ნეგო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით შეიფასება გამოიყენოს ყველა მარაგის მიმართ. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია წარმოადგენს სააღრიცხვო და საგადასახადო მოგებას შორის განსხვავება.

- გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს სასაქონლო-მაგერიალური ფასულობის აღსაზიკხად, სხვა მეთოდებთან ერთად, გამოიყენოს ლიფო მეთოდი.

სააღრიცხვო მიზნებისათვის დაუშვებელია ამ მეთოდის გამოყენება, საწარმოს, რომელსაც საგადასახადო მიზნებისათვის

გამოყენებული ექნება ლიფო მეთოდი, წარმოშობა მარაგის განსხვავებული საგადასახადო ხარჯა.

- სასაქონლო-მაგერიალური ფასულობის აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, წარმოებულ ან შეძენილი საქონლის ღირებულება აღრიცხვამდე ასახოს ამ საქონლის წარმოებაზე გაწეული ხარჯების (გარდა საამორტიზაციო ანარიცხებისა) ან შეძენის ხარჯად.

კოლექსის ასეთი მიღვაშა მრდის ერთი პერიოდის ხარჯებს მომდევნო პერიოდის ხარჯების ანგარიშზე. მაგალითად, საწარმოს წამყვალ ღირებულება საკუთარი წარმოების საქონელი 5.000 ლარის თვითღირებულებით, რომელშიც ამორტიზაციის კომპონენტი შეადგენს 1.500 ლარს. საგადასახადო მიზნებისათვის 1.500 ლარი მაშინვე წლის გამოსაქვითა ხარჯად, ხოლო თვითღირებულება სავადა-სახადო მიზნებისათვის (საქონლის საგადასახადო ბაზა) - 3.500 ლარი.

- აქტივების ღირებულებაში შეიგანება მათი შეძენის, წარმოების, მოწყობის, მონტაჟისა და დამუშავის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც მრდის მათ ღირებულებას, გარდა გადახდილი მოსაკრებლისა ან/და საბაჟო გადასახადისა.

კოლექსი მოსაკრებლებსა და საბაჟო გადასახადებს ვინახავს პერიოდის გამოთავით ხარჯად, მაშინ, როდესაც ეს დანახარჯები აქტივის შეძენისას მასი თვითღირებულების კომპონენტია.

გარდა მეძით ჩამოთვლილი შემთხვევებისა, სააღრიცხვო და საგადასახადო მოგებას შორის განსხვავების წარმოქმნის საფუძველს შეადგენს გახდეს საგადასახადო კოლექსით შემოსავლების აღიარებისა და ხარჯების გამოქვითვის სხვა პრინციპები.

განსხვავებულ ფინანსურ და საგადასახადო მოგებას განაპირობებს აქტივების გაყიდვადი მიღებული მოგების კოლექსიული განმარტება და მისი აღიარების დებულება. კერძოდ, კოლექსიდან გამომდინარე, აქტივების მიწოდებისას მიღებული მოგება წარმოადგენს დადებით სხვაობას, მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებისა და ამ აქტივების ღირებულებას შორის. აქტივების მიწოდებით მიღებული ზარალი არის უარყოფითი სხვაობა მათი მიწოდებით მიღებულ შემოსავლებსა და ამ აქტივების ღირებულებას შორის. აქტივების მიწოდებიდან მიღებული მოგებისა და ზარალის განმარტება არ გამოიყენება ამ აქტივების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, ჯგუფური მეთოდის მიხედვით. ე.ი. თუ საწარმო იყენებს ჯგუფური ამორტიზაციის მეთოდს და გაყიდის შესაბამის ჯგუფში შემავალ მანქანა-დანადგარებს, მასი გაყიდვიდან მიღებული ფინანსური შედეგი, მოგება ან ზარალი საგადასახადო

მიზნით, პირდაპირ არ აღიარდება. ეს ხდება იმიტომ, რომ ძირითად საშუალებათა ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის გამოანგარიშების ფორმულა საშუალებას იძლევა, მოგება და მარბლი უარულად აღიარდეს განებადებულად. გასათვალისწინებელია ასევე განსხვავების წარმოშობი კოდექსისეული ნორმა, რომლის შესაბამისად აქციუბის უსასყიდლოდ ან თვითღირებულებაზე ნაკლები ფასით მიწოდებისას მიმწოდებელი პირის მოგება განისაზღვრება როგორც დადებითი სხვაობა, მიწოდებული აქციების საბაზრო ფასსა და კოდექსის მიხედვით განსაზღვრულ აქციების ღირებულებას შორის დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისას, ასევე მხედველობაში არ მიიღება არანაირი მოგება ან მარბლი, თუ ხდება აქციების არანებაყოფლობითი განადგურება ან ჩამორთმევა და მისგან მიღებული შემოსავლების რეინვესტირება, მსგავსი ხასიათის აქციებში განადგურების ან ჩამორთმევის განხორციელების წლის მომდევნო ორი წლის დასრულებამდე.

12.1.2. საგადასახადო ბაზა

როგორც ზემოთ განხილული საკითხებიდან ჩანს, საწარმო ღირებულება ფინანსური ანგარიშგებით წარმოადგენს საბაზრის მთლიან მოგებას, რომელიც, საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე, მოგების გადასახადის დეკლარაციაში წარმოადგენილი საგადასახადო მოგებისაგან განსხვავებულ თანხობრივ ოდენობაში იქნება გამოთვლილი. ამან არ უნდა შექმნას იმის ილუზია, რომ საწარმო ორნაირად მოახდენს სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვას. საწარმო, როგორც სტანდარტით დადგენილი წესი, ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდეგ, საწარმო მოახდენს საბაზრის მთლიან მოგების გადაანგარიშებას საგადასახადო დეკლარაციაში წარსადგენი ფორმით. გადაანგარიშების, პროცესში საწარმოს დასტურდება საბაზრის მთლიან მოგების შეფასება საგადასახადო თეაღსაზრისით.

თუ მოვიშველიებთ მოგების ისეთ განსაზღვრას, რომ მოგება კდრის საკუთარი კაპიტალის ზრდას, პარტნიორთა დაშავებითი ინვესტიციის გარეშე და გავაანალიშებთ ორი განსხვავებული მოგების არსებობის უაქტს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ აქციუბისა და ღირებულებებს, საბაზრის და საგადასახადო თეაღსაზრისით, განსხვავებული ღირებულება გააჩნიათ. ეს რომ ნამდვილად ასეა, დასტურად შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი მაგალითი. საწარმოს აქტს საგურიათ ავტომობილი, რომელიც საანგარიშგებო წლის 1 იანვარს 5.000 ლარად შეიძინა. საწარმო მის გამოყენების 5 წლის განმავლობაში ეარბულის, რომლის შემდეგაც ექსპლუატაციისათვის უებრვისი ავტოტრანსპორტის სალიკენიაციო ღირებულება 500 ლარა იქნება. ცვეთის დაბრტყვას ახდენს წრფივი მეთოდით. საგადასახადო კოდექსის მიხედვით საგურიათ ავტომობილი პარკულ ჯგუფს მიეკუთვნება. შესაბამისად, ცვეთის ნორმა 20 პროცენტია. დავეშვათ, საწარმოს მეორე ჯგუფში სხვა ძირითადი საშუალება არ გააჩნია. ბალანსის შედგენის თარიღისათვის საგურიათ ავტომობილის საბალანსო ღირებულება იქნება 4.100 ლარი $(5.000 - (5.000 - 500) \times 20\%)$. საგადასახადო მიზნით კი მისი ღირებულება შეადგენს 4.000 ლარს $(5.000 \times 20\%)$. როგორც ჩანს, განსხვავებული საბაზრის და საგადასახადო ცვეთა განაპირობებს რა განსხვავებულ საბაზრის და საგადასახადო მოგებას, ერთდროულად იწვევს აქციუბის ღირებულების განსხვავებულ ოდენობით წარმოადგენს. ისე არ უნდა გაუიგოთ, თითქოს, საგადასახადო მიზნით, ბალანსში

რამაც ცელილების შეგანა იყოს პუცალებული, საქმე გაქვს საგადასახადო მიზნით აქციის ღირებულების გადამოწმებასთან.

აქციის ღირებულება საბანკარიშგებო პერიოდის ბოლოს, საბაღრიცხვო თუ საგადასახადო თვალსაზრისით, ის თანხებაა, როდესაც უნდა გამოაკლდეს მომავალ პერიოდში მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ძალებში მონაწილეობას მიიღებს მოცემული აქციი.

საბაღრიცხვო თვალსაზრისით, აქციისა და ვალდებულების ღირებულება საბალანსო ღირებულების სახით წარმოუვიდგება. რაც შეეხება საგადასახადო თვალსაზრისით წარმოადგენს ღირებულებას, იგი სტანდარტის ერთ საგადასახადო ბაზის სახელწოდებას ატარებს.

აქციის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზას უწოდებენ იმ თანხას, რომელიც გამოიყენება მოცემული აქციის ან ვალდებულების საგადასახადო მიზნებისათვის.

აქციის საგადასახადო ბაზა არის თანხა, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიქვეყნება დისაბუგარი ეკონომიკურ სარგებლიდან, რომელსაც მიიღებს საწარმო, როდესაც დაიბრუნებს ამ აქციის საბალანსო ღირებულებას. თუ აღნიშნული ეკონომიკური სარგებელი დასაბუგარი არ იქნება, აქციის საგადასახადო ბაზა გაუგებდება მის საბალანსო ღირებულებას.

მაგალითი

საწარმო ალგენს პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებას მანქანებისა და მოწყობილობების შეძენის ღირებულება 12.000 ლარია, საგადასახადო ცეკვის ნორმა 20 პროცენტია. მანქანებისა და მოწყობილობების საგადასახადო ბაზა გოლია წლის ბოლოსათვის ჯგუფის ღირებულებითა ბალანსი შემცირებული საბანკარიშო წლის ბოლორეზიუმის თანხა ანუ იგი შეადგენს 2.400 (12.000 - 2.400) ლარს.

მოთხოვნების საბალანსო ნაშთი 2.000 ლარია. შესაბამისი შემოსავლები შეგანილია საგადასახადო მოგების თანხაში. მოთხოვნების საგადასახადო ბაზა 2.000 ლარის გოლია.

საიდულო-საკონსერვაციო საშუალოების დანახარჯი კაპიტალიზებულია და მისი საბალანსო ღირებულება 5.000 ლარია. საგადასახადო მიზნით, ხარჯები ვაწყვისთანავე იქნა გამოქვეყნული. საიდულო-საკონსერვაციო საშუალოების საგადასახადო ბაზა ნულს გოლია.

მოთხოვნები გაყვამული სესხის მიხედვით 1.000 ლარია. სესხის დაფარვა ვალდებს არ ახდენს საგადასახადო ბეგარაზე. ამიტომ სასესხო მოთხოვნების საგადასახადო ბაზა 1.000 ლარის გოლია.

ვალდებულების საგადასახადო ბაზა არის მისი საბალანსო ღირებულება, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც ამ ვალდებულებასთან დეკემბრებით საგადასახადო მიზნებისთვის გამოიქვეყნება მომავალ საბანკარიშგებო პერიოდებში. აუანსის სახით მიღებული შემოსავლებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საგადასახადო ბაზა გოლია მისი საბალანსო ღირებულებისა, შემოსავლების იმ თანხის გამოკლებით, რომელიც არ დაიბეგრება მომავალ პერიოდში.

მაგალითად, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს გადასახდელო პროცენტებს 100 ლარს, იგი საგადასახადო მიზნებისათვისაც ვალდებულება გამოიქვეყნება. ე. ი. მომავალ პერიოდზე არ გადადის. შესაბამისად, გადასახდელო პროცენტების საგადასახადო ბაზა 100 ლარია.

მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს მიღებულ ავანსს 500 ლარს. საგადასახადო მიზნით იგი შემოსავლიად ჩითვლება შემოსავლის გამოუმუშავების შემდეგ და თანხის მალეებისთანავე არ იბეგრება. შესაბამისად, ავანსის საგადასახადო ბაზა 500 ლარია.

მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს ღირიხელ საგადასახადო ჯარიმებს 300 ლარს. საგადასახადო მიზნებისათვის საგადასახადო ჯარიმება არ გამოიქვეყნება. იგი ხარჯებიდან ამოღებულ უნდა იქნეს ამიტომ, ღირიხელი ჯარიმების საგადასახადო ბაზა 300 ლარს შეადგენს.

12.1.3. ღირიხითი სხვაობები

საბაღრიცხვო და საგადასახადო მოგებას შორის სხვაობა შეიძლება იყოს ღრუბითი და მუდმივი. მუდმივი სხვაობას ადვილი აქვს მაშინ, როდესაც საბაღრიცხვო ხარჯი არასოდეს არ გამოიქვეყნება საგადასახადო შემოსავლიდან. მაგალითად, ბიუჯეტის სასარგებლოდ ღირიხული სანქციების თანხები, რომელიც საწარმოს შემოსავლს და, შესაბამისად, საბაღრიცხვო მოგებას ამცირებს, მაგრამ არ გამოიქვეყნება საგადასახადო მიზნით, როგორც მიმდინარე ასე მომდევნო საბანკარიშგებო პერიოდებში. საბაღრიცხვო მოგების საგადასახადო მოგებად გადაანგარიშების მიზნით, ასეთი მუდმივი

სხვაობების გამოწვევა მუხლები თავიდანვე უნდა იქნეს კორექტირებული.

სააღრიცხვო და საგადასახადო მოვებებს შორის დროებითი სხვაობა განპირობებულია იმით, რომ შემოსაუღლების ან ხარჯების აღიარება, სააღრიცხვო და საგადასახადო მიზნით, ხდება სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდში. თუ სააღრიცხვო ხარჯი საგადასახადო შემოსაუღლებიდან საანგარიშგებო პერიოდში არ გამოიქვეითება, იგულისხმება, რომ გამოიქვეითება მომდევნო პერიოდში, თუ წინა პერიოდში არ იყო გამოქვეითული. მოცემულ პარაგრაფში დროებითი სხვაობები განხილული იქნება არა იმ ჟღერით, რომელიც სააღრიცხვო და საგადასახადო მოვებებს შორის სხვაობის სახით ელინდება, არამედ აქტივებისა და ვალდებულების რაკურსით. ვ.ი. დროებითი სხვაობები შემდეგში ისე უნდა იყოს გაგებული, როგორც ამას სტანდარტი განმარტავს.

დროებითი სხვაობას უწოდებენ ბილანსში წარმოდგენილი აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის განსხვავების თანხას.

აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება შესაძლებელია საგადასახადო ბაზაზე შეგი ან ნაკლები იყოს. ვ.ი. დროებითი სხვაობა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. განასხვავებენ დასაბეგრი და გამოსაქვით დროებითი სხვაობებს.

დასაბეგრია დროებითი სხვაობა, რომელიც მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში უნდა დაემატოს საგადასახადო მოვების (საგადასახადო ზარალის) თანხას, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულების ამოღება ან ვალდებულების დაფარვა მოხდება.

მაგალითი

საწარმომ 2005 წლის 25 დეკემბერს შეიძინა კომპიუტერი 800 ლარად. ცვეთის წლიური ნორმა განისაზღვრა შეძენის თვითღირებულებიდან 25 პროცენტით. კომპიუტერის ღირებულება საგადასახადო მიზნით მთლიანად გამოიქვეითა შემოსაუღლებიდან. წლის ბოლოს კომპიუტერის საბალანსო ღირებულება 800 ლარია. მისი საგადასახადო ბაზა ნულის ტოლია, რადგან ხარჯი საგადასახადო შემოსაუღლებიდან გაწევისთანავე ერთბაშად იყო გამოქვეითებული. საბალანსო ღირებულებისა და ნულოვანი საგადასახადო ბაზას შორის სხვაობა არის დასაბეგრი დროებითი სხვაობა, რადგან კომპიუტერის შეძენის ღირებულების ამოღებისთანავე ერთბაშად, მისი ღირებულება საგადასახადო მიზნით უნდა დაემატოს საგადასახადო მოვების თანხას. მაგალითი უფრო ნათელია რომ გამოჩინდეს, დაეუფლოთ 2006 წლის ბოლოს კომპიუტერის საბალანსო ღირებულება შემცირდა 600 ლარამდე. ეს ნიშნავს, რომ 200 ლარი ამორტიზაციის გზით მიეკუთვნა სააღრიცხვო

ბუჯი ხარჯებს და სააღრიცხვო მოვება შეამცირა. რამდენადაც კომპიუტერის შეძენაზე გაწეული ხარჯი (800) 2005 წელს ერთბაშად იყო გამოქვეითული საგადასახადო შემოსაუღლებიდან, სხვაობა (800 - 600) 200 ლარი მაშინვე 2006 წლის დასაბეგრი მოვებას, დასაბეგრი დროებითი სხვაობა ღირებულება 600 ლარი, რომელიც ანალოგიურად მომავალი პერიოდების დასაბეგრი მოვებას მიემატება.

დასაბეგრი დროებითი სხვაობა მაშინ არსებობს, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება შეგია მის საგადასახადო ბაზაზე ან, როდესაც ვალდებულების საბალანსო ღირებულება ნაკლებია მის საგადასახადო ბაზაზე.

გამოსაქვითია დროებითი სხვაობა, რომელიც მომავალ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიქვეითოს საგადასახადო მოვების (საგადასახადო ზარალის) თანხიდან, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება ან დაფარვა მოხდება.

მაგალითი

საეჭაო საწარმოს ძირითადი საშუალებების სახით გაიჩნია 10 წლის ვადით უინანსური იჯარით აღებული შენობა. სხვა ვალდებულებიდან მიგერიალური აქტივები ჩვეულებრივი იჯარით აქვს აღებული. შენობა იჯარით აღებულია 2005 წლის 5 იანვარს 20,000 ლარად. წლიური სააღრიცხვო ცვეთის ნორმა, იჯარის ვადიდან გამოძლივარე, განისაზღვრა 10 პროცენტის თანხით. 2005 წლის ბოლოს შენობის საბალანსო ღირებულება შეადგენს 18,000 ლარს. შენობის საგადასახადო ბაზა 19,000 ლარია (20,000-ს გამოკლებული საგადასახადო კოდექსის მიხედვით გამოთვლილი ცვეთა 5%-ანი ვანაკუთით - 1,000). საბალანსო ღირებულებისა და საგადასახადო ბაზის შორის სხვაობა 1,000 ლარი არის გამოსაქვითი დროებითი სხვაობა, რადგან იგი მომავალ წლებში აუცილებლად გამოიქვეითება საგადასახადო მოვებიდან.

გამოსაქვითი დროებითი სხვაობები წარმოიშობა მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მის საგადასახადო ბაზაზე ან, როდესაც ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეგია მის საგადასახადო ბაზაზე.

12.1.4. საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების აღიარება

მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება საწარმოს წარმოუშობა, საანგარიშგებო წლის საგადასახადო ფინანსური შედეგიდან გამომდინარე. გადასახადის გამოანგარიშება ხდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთის მიხედვით. მიმდინარე გადასახადი არის საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო მოგებიდან (საგადასახადო ბარალიდან) გადასახდელი (დასაბრუნებელი) მოგების გადასახადის თანხა.

თუ გადახდილი არ არის მიმდინარე ან წინა საანგარიშგებო პერიოდების მიმდინარე გადასახადი, იგი უნდა აღიარდეს ვალდებულების სახით. თუ მიმდინარე და წინა საანგარიშგებო პერიოდების გადახდილი გადასახადის თანხა მეტია საანგარიშგებო პერიოდში გადასახდელი გადასახადის თანხაზე, ეს ნაშეგი (სხვაობა) უნდა აღიარდეს აქტივის სახით.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების აღიარება

დროებითი სხვაობების არსებობა განაპირობებს გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების წარმოშობას.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება არის დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული, მომავალ საანგარიშგებო პერიოდში გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხა.

დასაბეგრი დროებითი სხვაობასთან დაკავშირებით, ბევრთა განხილული მაგალითიდან გამომდინარე, საწარმოს 2005 წლის ბოლოს კომპიუტერების მიხედვით გადავადებული საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 160 (800-ის 20%) ლარს.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულების მსგავსად, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებაც უნდა იქნეს აღიარებული.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება უნდა აღიარდეს ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის მიხედვით.

აქტივების აღიარების პროცესისათვის არსებითია ის გარემოება, რომ მისა საბალანსო ღირებულება ამოღებულ იქნეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში, ეკონომიკური სარგებლის მიღების გზით. თუ აქტივს საბალანსო ღირებულება აღემატება მის საგადასახადო ბაზას, საგადასახადო ეკონომიკური სარგებლის თანხა გადააჭარბებს საგადასახადო დაბეგვრის მიზნებისათვის გათვალისწინებულ დასაშვებ გამოსაქვით თანხას. ეს სხვაობა არის დასაბეგრი დროებითი სხვაობა და მოგებიდან გადასახადის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულება, რომელსაც გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას უწოდებენ. თუ საწარმო დროთა განმავლობაში ამოიღებს საბალანსო ღირებულების თანხას, დასაბეგრი დროებითი სხვაობა თანდათანობით ანულირდება და საწარმოს გაქვნილება საგადასახადო მოგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საწარმოდან ვაჭი ეკონომიკური სარგებელი გადასახადის გადახდის სახით ამიგომ, გადავადებული საგადასახადო ვალდებულება უნდა აღიარდეს.

გადავადებული საგადასახადო აქტივი არის მოგებიდან გადასახადების თანხა, რომელიც უნდა აღდგეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში:

- ა) გამოსაქვით დროებით სხვაობებთან დაკავშირებით;
- ბ) გამოუყენებელი საგადასახადო ბარალის მომავალ პერიოდში გადახდასთან დაკავშირებით;
- გ) გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის მომავალ პერიოდში გადაგანასთან დაკავშირებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივი უნდა აღიარდეს ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის მიხედვით, რადგან მოსალოდნელია საგადასახადო მოგების წარმოშობა და ამის საფუძველზე შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობის გამოყენება.

ვალდებულებების აღიარებაში არსებითი მომენგია ის, რომ მათი საბალანსო ღირებულება უნდა დაიფაროს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში, ეკონომიკურ სარგებელში განსახიერებული რესურსების საწარმოდან გასვლის ხარჯზე. როდესაც რესურსები საწარმოდან გადის, რესურსების შესაბამისი მთლიანი თანხა ან მისი ნაწილი შეიძლება დაექვემდებაროს გამოქვითვას, ვალდებულების აღიარების მომდევნო პერიოდში საგადასახადო მოგების განსაზღვრისას. ასეთ შემთხვევაში, წარმოიშობა დროებითი სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის, შესაბამისად, მოგების გადასახადთან დაკავშირებით, წარმოიშობა გადავადებული საგადასახადო აქტივი, რომ

ლის ამოღება უნდა მოხდეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში, როდესაც საგადასახადო მოვებებს განსამღვრისას გათვალისწინებულია ელდებულების შესაბამისი ნაწილის გამოქვითვა. ანალოგიურად, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მის საგადასახადო ბაზაზე, ეს სხეობა წარმოშობს გადაეადებულ საგადასახადო აქტივს შემოსაღებიდან გადასახადთან დაკავშირებით, რომელიც ამოღებულ უნდა იქნეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გადაეადებული საგადასახადო აქტივი წარმოიშობა ასევე გამოუყენებელი საგადასახადო მარაგის და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის საფუძველზე.

თუ საწარმო საანგარიშგებო წელს საგადასახადო მარაგით ამთავრებს, იგი ინარჩუნებს მომდევნო 5 წლის განმავლობაში მარაგის გამოქვითვის უფლებას და, შესაბამისად, წინა პერიოდში გადახდილი მოვების გადასახადის დაბრუნების შესაძლებლობას. დაბრუნება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს საწარმოს, მარაგის მიღების შემთხვევაში, ბიუჯეტიდან მოვების გადასახადის დაბრუნების მოთხოვნის უფლება პოვნდეს. დაბრუნება გულისხმობს მომდევნო პერიოდში საწარმოს მომგებიანი მუშაობის შედეგად მარაგისა და მოვების გადასახადის განაკვეთით გამოთვლილი თანხის კომპენსირებას. მაგრამ თუ საწარმოს ექნება საგადასახადო მარაგის შეღებვად წინა წლებში გადახდილი მოვების გადასახადის მოთხოვნის განთიერი შესაძლებლობა, მაშინ საგადასახადო მარაგით გამოწვეული სარგებელი, რომელიც შეიძლება უკან დაბრუნდეს წინა საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი მიმდინარე გადასახადის ამოსაღებად, უნდა აღიარდეს გადაეადებული აქტივის სახით. აქტივზე აღიარება უნდა მოხდეს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება საგადასახადო მარაგის მიღების ფაქტი, ვინაიდან, რომ შესაძლებელია ამ სარგებლის მიღება საწარმოში და მისი საიმედოდ შეფასება.

გადაეადებული საგადასახადო აქტივის აღიარება, გამოუყენებელი საგადასახადო მარაგისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის მომდევნო საგადასახადო პერიოდებში გადაწვევის მიზნით, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალი საგადასახადო მოვება საკმარისი იქნება გამოუყენებელ საგადასახადო მარაგისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის გამოყენებისათვის.

2.15. საგადასახადო ხარჯის აღიარება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საწარმო აღიარებს როგორც მიმდინარე ისე გადაეადებული მოვების გადასახადს. ელდებულებას წარმოშობა მოვების გადასახადზე, თავის მხრივ, მოვების გადასახადის ხარჯს წარმოშობს. ორადი ასახვის პრინციპიდან გამომდინარე, მოვების გადასახადის ელდებულების აღიარებისთანავე, აღიარებას ექვემდებარება მოვების გადასახადის ხარჯიც.

მიმდინარე და გადაეადებული გადასახადების აღიარება უნდა მოხდეს შემოსავლის ან ხარჯის სახით და ჩაირთოს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოვებებსა და მარაგის თანხაში, ამ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც გადასახადი წარმოიშობა:

- ასეთი მოვლების ან სამეურნეო ოპერაციის გამო, რომელიც იმავე ან რომელიმე სხვა საანგარიშგებო პერიოდში პარდაპირ აღიარებულა საკუთარ კაპიტალზე ან
- შემდგომად დაკავშირებულ საწარმოთა გავრთიანების გამო.

როგორც ჩანს, „ა“ და „ბ“ გამონაკლისის გარდა, მიმდინარე და გადაეადებული მოვების გადასახადი ხარჯად ან შემოსავლად უნდა იქნეს აღიარებული ბუღალტრულ ანგარიშებში ოპერაციების ასახვის მაგალითების განხილვამდე უნდა განიშარტოს, რომ მიმდინარე და გადაეადებული გადასახადების აღრიცხვა განცალკევებით უნდა მოხდეს ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ გადაეადებული გადასახადები შედგება გადაეადებული მოვების გადასახადისა და გადაეადებული საგადასახადო აქტივისაგან, ხოლო აქტივით ელდებულების გადაფარვა, ზოგადად, სტანდარტით დაუმეგებელია. ამასთან, მიმდინარე ელდებულება კოლექსიით დადგენილ ვადაში იუცილებელ გადახდის ექვემდებარება, გადაეადებული გადასახადი მხოლოდ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში იქნება გადასახადული ან დაექვემდებარება დაბრუნებას.

საგადასახადო აქტივები და ელდებულებები ბალანსში უნდა წარდგეს სხვა აქტივებისა და ელდებულებებისაგან განცალკევებით. გადაეადებული საგადასახადო აქტივები და ელდებულებები ისევე უნდა გაიმიჯნოს მიმდინარე საგადასახადო აქტივებისა და ელდებულებებისაგან. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვაც ისე უნდა მოეწიოს, რომ გადასახადების ბალანსში ასახვის მოთხოვნები დაკმაყოფილოს. სტანდარტი ასევე გვყარნახობს მოვებებს გადასახადების ბუღალტრული ანგარიშების კლასიფიკაციის გარკვეულ მიმართულებას. კერძოდ, გადაეადებული გადასახადების ანგარიში

კლასიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც გრძელვადიანი აქტივი ვალდებულება.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადებისა და შესაბამისი ხარჯების შემოსავლის ბუღალტრული ოპერაციების საბალანსო იოლ, განვიხილოთ მაგალითი: დაუშვათ, საწარმოს სააღრიცხვო მოგება არ მოიცავს მუდმივ სხვაობებს, ხოლო დროებითი სხვაობები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვასთან. სახეზეა საწარმოს 4 წლის მონაცემები.

ცხრილი 12.1

მაჩვენებლები	სგრ.	საანგარიშგებო წლები			
		I	II	III	IV
სააღრიცხვო მოგება	01	8.000	7.800	8.200	8.500
ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება	02	8.500	7.000	5.500	4.000
ძირითადი საშუალებების საგადასახადო ბაზა	03	8.000	6.400	5.120	4.096
დასაბეგრო დროებითი სხვაობა	04	500	600	380	
გამოსაქვითი დროებითი სხვაობა	05				66
ცვეთა ა) სააღრიცხვო	06	1.500	1.500	1.500	1.500
ბ) საგადასახადო	07	2.000	1.600	1.280	1.024
საგადასახადო მოგება	08	7.500	7.700	8.420	8.976
მოგების გადასახადის ნორმა %	09	20	20	20	20
მიმდინარე მოგების გადასახადი	10	1.500	1.540	1.684	1.791
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	100	120	76	
გადავადებული საგადასახადო აქტივი	12				19
გადავადებული საგადასახადო ხარჯი (შემოსავალი)	13	100	20	(44)	(95)

გათვლების მოკლე განმარტება:

$$\text{სგრ.4} = \text{სგრ.2} - \text{სგრ.3};$$

$$\text{სგრ.5} = \text{სგრ.3} - \text{სგრ.2};$$

$$\text{სგრ.8} = \text{სგრ.1} + \text{სგრ.6} - \text{სგრ.7};$$

$$\text{სგრ.10} = \text{სგრ.8} \times \text{სგრ.9};$$

$$\text{სგრ.11} = \text{სგრ.4} \times \text{სგრ.9};$$

$$\text{სგრ.12} = \text{სგრ.5} \times \text{სგრ.9};$$

$$\text{სგრ.13} = \text{მიმდინარე წლის სგრ.11 (12)} / + \text{გასული წლის სგრ.11 (12)}$$

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი პირველ წელს ბუღალტრულად გაგარდება:

დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი 1500

კრედიტი – გადავადებული მოგების გადასახადი 1500

ანილოვიურად აისახება მომდევნო წლების მოგების გადასახადზე მიმდინარე ვალდებულების წარმოშობა.

გადავადებული მოგების გადასახადისა და შესაბამისი ხარჯების ასახვა მოხდება შემდეგი თანმიმდევრობითა და ოდენობით:

პირველი წელი

დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი 100

კრედიტი – გადავადებული მოგების გადასახადი 100

იგულისხმება, რომ პირველ წელს გადავადებული გადასახადის ნაშთი არ ირიცხებოდა.

მეორე წელი

როგორც ჩანს, საწარმოს მეორე წელსაც წარმოეშვა გადავადებული მოგების გადასახადი. მისი ნაშთი მეორე წლის ბოლოსათვის 120 ლარს უნდა შეადგენდეს. წინა წლიდან ნაშთი ირიცხებოდა 100 ლარი, ამიტომ მეორე წელს უნდა დაემატოს 20 ლარი გაგარდასთან.

დებეტი – მოგების გადასახადის ხარჯი 20

კრედიტი – გადავადებული მოგების გადასახადი 20

მესამე წელი

მესამე წელს გადავადებული მოგების გადასახადი 76 ლარამდე უნდა შემცირდეს. არსებული ნაშთის შემცირება აისახება უკუგაგარებით. სხვაობა გადავადებული მოგების გადასახადის საწყისი და საბოლოო ნაშთებს შორის წარმოადგენს საგადასახადო შემოსავალს და გაგარდება მოგების გადასახადის ანგარიშის კრედიტში.

დებეტი – გადავადებული მოგების გადასახადი 44

კრედიტი – მოგების გადასახადის ხარჯი 44

მეოთხე წელი

მეოთხე წელს საწარმოს ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებისა და მისი საგადასახადო ბაზის შეღარებით ჩანს გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოშობის ფაქტი. იგი განაპირობებს გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ანუ ღირებულებას. შესაბამისად, აუცილებელი იქნება ბუღალტრული გაგარება

დებეტი – გადავადებული მოგების გადასახადი 76

ღებუტი – გადავადებული საგადასახადო აქტივი 19
კრედიტი – მოგების გადასახადის ხარჯი

95

როგორც გატარებულიდან ჩანს, თავიდან წარმოშობილი ვალდებულებული მოგების გადასახადის თანდათანობით ანუღირება მოხდება ანუღირების შემდეგ დაფიქსირდა გამოსაქვითი დროებითი სხვაობიდან გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოშობა. მაგალითურაქტივიში შესაძლებელია საწარმოს გააჩნდეს ერთდროულად რამდენიმე ვალდებულება, ისე გამოსაქვითი დროებითი სხვაობები და შესაბამისად, აუცილებელი გახდება გადავადებული მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო აქტივის ასახვა შესაბამის ანგარიშებზე.

12.2. საშემოსავლო გადასახადის აღრიცხვა

გარდა იმისა, რომ საწარმო არის გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადები. მას ეკისრება საგადასახადო აგენტი ფუნქციის შესრულება. საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელსაც საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილ წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულების გზაური შემთხვევა საწარმოს მიერ გადასახადის წყაროდ საშემოსავლო გადასახადის დაკავებისა და ბიუჯეტში შეტანის ვალდებულება. საშემოსავლო გადასახადის ნაწილში საწარმო საგადასახადო აგენტად გამოდის მაშინ, როდესაც იგი:

- საზღაურს უხდის დაქირავებულს;
- პირს უხდის პენსიას, გარდა იმ პენსიებისა, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში;
- ხდის პროცენტს, გასცემს დივიდენდს ან/და ანაზღაურებს საქართველოში მუდმივი დიფიკულტების არმქონე პირებს, რომლებიც მომსახურების ღირებულებას, რომელიც საგადასახადო კოდექსით განიხილება საქართველოში არსებული წყაროდ მიღებულ შემოსავლად და იხვევება გადახდის წყაროსთან;

- მომსახურებას ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს, რომელსაც არ გააჩნია გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;
 - დაკავებულია სათამაშო ბიზნესით და ფიზიკურ პირს უხდის მოგებას;
 - პირს უხდის სტიპენდიას, გარდა სახელმწიფო სტიპენდიისა.
- შემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, საწარმო, როგორც საგადასახადო აგენტი, ვალდებულია დააკავოს გადასახადი გადახდის წყაროსთან და იგი ბიუჯეტში გადარიცხოს პირებისათვის თანხის გადახდისთანავე. კოდექსის ამ მოთხოვნის გათვალისწინებით, საწარმო საგადასახადო ვალდებულებას აღიარებს საბაზისო ვალდებულების წარმოშობისთანავე. საბაზისო ვალდებულებაში ავტომატურად გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადით დასაბუხრი შემოსავალი. მაგალითად, საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება დაქირავებულებზე გასაცემ ხელფასზე უნდა აღიარდეს ხელფასის დარიცხვის თანადროულად. დივიდენდიდან – დივიდენდის გამოცხადების დღიდან; პენსიისა და სტიპენდიამ – მათი გასაცემად დარიცხვის დღიდან; გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის არმქონე პირებზე გადახდილ თანხაზე – ისეთი პირის მიერ გაწეული მომსახურების აღიარების თანადროულად და ა.შ.

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი საწარმოს გასაცემია. იგი შეიძლება იყოს საწარმოს ხარჯი (მაგალითად, ხელფასისა და პროცენტის შემთხვევაში), კაპიტალიზებადი დანახარჯი (მაგალითად გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის არმქონე პირებზე შშენებარე ობიექტზე გაწეული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში) ან წმინდა მოგების ამოღება (მაგალითად, დივიდენდის გადახდის შემთხვევაში). მაგრამ საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადის ვალდებულების აღიარება პარდაპირ არ ეკორესპონდირება ხარჯებს, კაპიტალიზებად დანახარჯებსა და წმინდა მოგებას, რადგან ისინი პირის წინაშე ვალდებულების შემამციკრებელი ოპერაციებია.

საშემოსავლო გადასახადის დარიცხვის დროს კრედიტდება საშემოსავლო გადასახადის ანგარიში და დებიტდება ანგარიშები:

- გადასახდელი ხელფასები (დაქირავებულებზე დარიცხული გასამრჯელოდან საშემოსავლო გადასახადის დაკავებისას);
- გადასახდელი პროცენტები (დარიცხული პროცენტებიდან გადასახადის დაკავებისას);

- გადასახდელი დივიდენდები (საწარმოს პარტნიორებისათვის გასაცემი დივიდენდებიდან გადასახადის დაკავებისას);
- სავაჭრო ვალდებულებები (არარეზიდენტებზე ან გადასახადის ვალდებულების სიძღვრეობითი ნომრის არმქონე პირებზე გადასახადების დაკავებისას);
- სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (პენსიიდან ან სტიპენდიიდან გადასახადის დაკავებისას).

საგადასახადო ვალდებულების შესრულება ბუღალტრულად გაგარდება

დებეტი – სამემოსავლო გადასახადი

კრედიტი – ეროვნული ვალუტა ბანკში

12.3. დამატებული დირექტივის გადასახადის (დღგ) აღრიცხვა

დღგ საწარმოსათვის არაპირდაპირი გადასახადია და, აქედან გამომდინარე, საწარმოს ევალება ფასეულობათა შეძენის დროს მომწოდებელს, ფასეულობის ღირებულებასთან ერთად, გადაუხადოს დღგ, რომლის ჩათვლის უფლება აქვს ფასეულობის გაყიდვასთან დაკავშირებით ბიუჯეტისათვის დღგ-ის გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს. ბიუჯეტის კუთვნილი დღგ-ის გამოსათვლელი მარტივი ფორმულა შემდეგია:

$$ბ = გ - შ$$

სადაც ბ არის ბიუჯეტის კუთვნილი დღგ;

გ – პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ;

შ – პერიოდის განმავლობაში შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ.

დღგ-სთან დაკავშირებით პერიოდი მოიცავს ერთ თვეს, პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღრიცხვაში მოახსენიება როგორც გადასახდელი, ხოლო შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ – როგორც ჩასათვლელი დღგ. მათ შორის სხვაობა არის ბიუჯეტის კუთვნილი ან ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ.

მაგალითი

საწარმომ მიმდინარე თვეში გაყიდა 2.000 ლარის ღირებულების საქონელი (ეს არის დასახეური ბრუნვა). დღგ-ის საგადასახადო განაკვეთი 18 %-ია. შესაბამისად, საწარმოს მყიდველმა გადაუხადა 2.360 ლარი, ამავე პერიოდში საწარმოს შეძენილი საქონელი ღირდა 1.500 ლარის ფასეულობა, რისთვისაც მომწოდებელს გადაუხადა 1.770 ლარი. ასეთ შემთხვევაში ბიუჯეტის კუთვნილი დღგ არის 90 (360 – 270) ლარი.

ერთი შეხედვით თითქმის ბუღალტრულად დღგ-ის გამოთვლა, მაგრამ სიამაყეში იგი ბუღალტრისაგან მოითხოვს კოდექსის კარგ ცოდნას. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ კოდექსის მსხვედრით არსებობს დღგ-სგან განთავისუფლებული ბრუნვები, შეღავათები, რომელიც ვრცელდება მოვლენით მიწოდებაზე.

რადგან დღგ დაკავშირებულია მიწოდებასთან, ფულადი ნაკადის მიღება მოიცავს მიწოდებული ფასეულობის ღირებულებასა და ამავე დღგ-ის თანხას. ე.ი. ხდება შემოსავლის მიღება და ერთდროულად ვალდებულების წარმოშობა ბიუჯეტთან მიმართებაში. ანალოგიურად, შეძენის დროს ფულადი საშუალების გასვლასთან ერთად წარმოიშობა აქციები ან ხარჯი და მოთხოვნა ბიუჯეტის წინაშე, ე.ი. ბაზის-ის მოთხოვნების გათვალისწინებით არ შეიძლება სისისავილი და ვალდებულება ერთად, ჯამით აქნეს აღიარებული. აქვე არ შეიძლება აქციები და ვალდებულება ყოველი ოპერაციის შემდეგ ერთმანეთს უბრუნდეს. აქედან გამომდინარე, გადასახდელი დღგ და გადახდილი დღგ ცალ-ცალკე ანგარიშზე აღრიცხვას ექვემდებარება. ე.ი. უნდა არსებობდეს დღგ-ის ვალდებულების ანგარიში (გადასახდელი დღგ) და მისი მაკონტროლებელი ანგარიში (გადახდილი დღგ).

წლის ბოლოს აუცილებელია ერთმანეთს შეუდარდეს ვალდებულებრივი გადასახდელი დღგ და გადახდილი ჩათვლილი დღგ-ის ანგარიშების ბრუნვები. უმცირესი ბრუნვა ელიმინირდება უდიდესის ხარჯზე. დარჩენილი ნაშთები გადახდის მომდევნო წლის შესაბამის ანგარიშებზე.

საბუღალტროდ განვიხილოთ რამდენიმე ოპერაცია. დავუშვათ, საწარმო იყენებს მარაგის მუდმივი აღრიცხვის მეთოდს.

1. შეძენილია 2.000 ლარის ნედლეული. მიღებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 2.360 ლარზე, დღგ-ის ჩათვლით. მომწოდებლისათვის ფულის გადახდის მომენტს არსებითი მნიშვნელობა არ ექვება

დებეტი – ნედლეული და მასალები

2.000

დებეტი – გადახდილი დღგ

360

**კრედიტი - მოწოდებიდან და მომსახურებიდან
წარმოქმნილი ვალდებულებები 2360**

2. შეძენილია 3.000 ლარის საქონელი. მომწოდებელი ვისცემს რეგულირებას საქვეყნგარეშოდ გაყვნილი ფულით და გადახდილია 3.540 ლარი. მ.შ. დღე 540 ლარი

დებეტი - საქონელი 3.000

დებეტი - გადახდილი დღე 540

**კრედიტი - მოთხოვნები საწარმოს
პერსონალის მიმართ 3.540**

3. იმავე პერიოდში გასხვისებულია 8.000 ლარის მზა პროდუქცია. მყიდველს გადაეცა საგადასახადო ანგარიშ-შაქცურა 9.440 ლარზე. მყიდველმა საქონლის მიღებისთანავე გადაიხადა 5.000 ლარი (ფულის მიღების მომენტს არ ენიჭება მნიშვნელობა)

დებეტი - ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 5.000

დებეტი - მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 4.440

კრედიტი - შემოსავალი რეალიზაციიდან 8.000

კრედიტი - გადასახდელი დღე 1.440

4. გადახდილია ბუჯეტის კუთვნილი დღე 400 ლარი

დებეტი - გადასახდელი დღე 400

**კრედიტი - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ
ბანკში 400**

5. 31 დეკემბერს განიშთებულია გადახდილი ჩათვლილი დღეის ანგარიში

დებეტი - გადასახდელი დღე 900

კრედიტი - გადახდილი დღე 900

აღნიშნული ოპერაციების შემდეგ გადასახდელი დღე-ის ანგარიშებზე ღირდება ვალდებულების ნაშთი 140 ლარი. იგი ამავე ოდენობით გადაეცა მომდევნო წლისათვის გასხნალ ანგარიშზე.

ზემოთ მოგვანილი ბუღალტრული გაგებრებით ილუსტრირებულია დღე-ის გიპური სამეურნეო ოპერაციები. პრაქტიკაში ხშირია კერძო შემთხვევები, რომლებიც თავისებურ ბუღალტრულ ვიგარებებს მოითხოვს. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

საწარმო არ არის დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებული მიუხედავად იმისა, რომ იგი დღე-ს შეძენის დროს იხდის, მას არა აქვს გადახდილი დღე-ის უკან მოთხოვნის უფლება ქვეყნის შიგნით

ანგარიშებზე გაყიდვებზე, ამ შემთხვევაში, მომწოდებლისათვის გადახდილი დღე-ის თანხა არ განიხილება დაბრუნებად გადასახადად და იგი შეძენილი აქციების კომპონენტი ხდება. დავეუქმოთ დღე-ის გადამხდელად არარეგისტრირებულმა გადასახადის გადამხდელმა საქონელი შეიძინა 5.000 ლარად. დღე-ის ჩათვლით გადაიხადა 5.900 ლარი ნაღდი ფული. შეძენილ საქონელს თანხიდან დღე-ის ანგარიშ-შაქცურა. ოპერაცია ბუღალტრულად გაგებრდება შემდეგი შეფასებით:

დებეტი - საქონელი 5.900

კრედიტი - ეროვნული ვალუტა საღაროში 5.900

საწარმო ახორციელებს ექსპორტის ოპერაციას. იგი იბეგრება დღე-ის ნულოვანი ვანაქციით. ეს ეხება დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ პირს. ამიტომ თუ გვეუქმებო, რომ წინა აბზაცში მოგვანილი საწარმო ახდენს შეძენილი საქონლის ექსპორტს მალიიანი, იგი მოიპოვებს 900 ლარის უკან დაბრუნების უფლებას. უკან დაბრუნებადი დღე შეამცირებს რეგულირებადი საქონლის თვითღირებულებას ბუღალტრული გაგებრებით

დებეტი - გადახდილი დღე 900

კრედიტი - სასაქონლო-მაგერიალური მარაგის

კორექტირება 900

ანალოგიურ სიტუაციაში დღე-ის გადამხდელი საწარმო სასაქონლო-მაგერიალური მარაგის კორექტირებას არ მოახდენს, რადგან მისი მარაგის ღირებულება არ მოიცავს დღე-ის თანხას.

დღე-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ, საწარმო უფლებამოსილია ჩაითვალოს რეგისტრაციის ძალაში შესვლის თარიღით წამოთად არსებულ აქციებზე გადახდილი დღე-ის ის ნაწილი, რომელზეც საგადასახადო ანგარიშ-შაქცურა გამოწერილია საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს 45 დღისა. იგი ბუღალტრულად გაგებრდება

დებეტი - გადახდილი დღე

კრედიტი - საქონელი

საწარმო შესაძლებელია ეწეოდეს არაეკონომიკურ საქმიანობას. არაეკონომიკური საქმიანობა არ განეკუთვნება დღე-ით დაბეგრის ობიექტს, თუ ამ მიზნით გამოყენებულ საქონელზე/მომსახურებაზე დღე-ის გადასახადის გადამხდელს მადებული არა აქვს დღე-ის ჩათვლა. დავეუქმოთ საწარმომ დღე-ით შეიძინა 1.000 ლარის საქონელი. საქონელზე გადასახდელი დღე 180 ლარს შეადგენს. საქონელი თავიდანვე არაეკონომიკური მიზნით გამოსაყენებლად იყო განსაზღვრული, ამიტომ საანგარიშგებო პერიოდის დღე-ის

დეკლარაციაში 180 ლარის ჩათვლის მოთხოვნა არ გაკეთებულა
საქონლის შეძენა ბუღალტრულად გაგზავნილი

ლებეტი - საქონელი 1,180

კრედიტი – საფაქრო ვალდებულებები 1.180

თუ საწარმოს თავიდან არ უკნებოდა გამომწეული ამ საქონელს გამოყენება არაუკონომიკური საქმიანობისათვის, იგი დეკლარაციასში წარმოდგენდა 180 ლარს ჩასათვლელად, ხოლო ოპერაციებზე ვაჭრობა დებოდა.

დებუტი - საქონელი 1000

დებუტი - გადახდილი დღგ 180

კრედიტი - სავაჭრო ვალდებულებები 1.180

მაგრამ, თუ ამის შემდეგ გამოიყენებს ამ საქონელს არაეკონომიკური საქმიანობისათვის, მას წარმოებული ჩათვლილი დღ-ის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება, რადგან ოპერაცია ხდება დღ-ით დიზეგვრის ობიექტი. დაუშვათ, მოცემულ სიტუაციაში საწარმოში არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოიყენა 500 ლარის საქონელი, რომელზეც 90 ლარი დღ-ის ჩათვლა მიღებულია სანაგარიძგებო თვის დასაბეგრ ბოუნეის დიზამტება არა 500 ლარი, არამედ ამ საქონლის დირეკტულება სანიმრო ფისათ ვოქება, იგი შეადგენს 550 ლარს. თუ ვაიერარდებთ, რომ სანაგარიძგებო თვეს საწარმოს სხვა დასაბეგრი ბოუნეა არ პქონია, მაშინ მოცემულ დასაბეგრი ოპერაციიდან დარიცხულა დღვ გჯგარდება

დებუტი - არასათქმურადი ხარჯი 649

კრედიტი - გადასახდელი დღგ. 99

კრედიტი - საქონელი 550

დღგ-ით დასაბუჯვრ თაქრაციებთან ერთად, საწარმოს შესაძ-
ლო პქონდეს დღგ-გან განთავისუფლებულ თაქრაციები, ასეთ შემ-
თხვეუებში, დღგ-ის ჩათვლა ხდება მხოლოდ დასაბუჯვრ თაქრაციებში
გამოყენებული საქონლის/მომსახურების ღირებულების შესაბა-
რისად. თუ შეუძლებელია ასეთი გამოჯენა, დღგ-ის ჩასათვლელი
თანხა ვანისაზღვრება საერთო ბრუნვის თანხაში დასაბუჯვრი
ბრუნვის ხვედრითი წონის მიხედვით, თორვე შემთხვევაში აღვლილ
ბქეს ვადახდელი დღგ-ის ანგარიშის ღირებუმა უკვე ძსახული თანხის
შემცირებას, რაც ბულალგრულად გაგარდება.

დებუტი - სასაქონლო-მატერიალური მარაგის

კლარეჯტობა

კრედიტი - გადახდილი დღე

საიდენტიფიკაციო ნომრის მქონე რეზიდენტი გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აწარმოოს დღ-ის უკუდაბეგრა, თუ მას

საქართველოს გერბიგორიამზე მომსახურება გაუწია არარეზიდენტმა
საზღვაო, რეზიდენტმა გადასახდელი მომსახურების ღირებულებას არიც-
ხაეს დღგ-ს და დადგენილ ვადაში იხდის გადასახადს. დაეუქმეთ,
რეზიდენტმა გადასახდელმა დღგ-ის გადასახდელად არარეზიდენტურ-
ული არარეზიდენტისაგან მიიღო მომსახურება, რომლის ღირებუ-
ლება 1,000 ლარია. რეზიდენტი გადასახდელი ვალდებულია დაარიყ-
ოს და გადაიხადოს დღგ 180 ლარი. განიხილება ორი შემთხვევა:
პირველი, როდესაც საწარმო არ არის დღგ-ის გადასახდელი და მეო-
რე, როდესაც საწარმო დღგ-ის გადასახდელია. პირველ შემთხვევაში
გადახდილი დღგ წარმოადგენს ხარჯს და ბუღალტრულად გატარდება

დებუტი - საოპერაციო ხარჯები 1.180

კრედიტი - სავაჭრო ვალდებულება 1.000

ერედიტი - გადასახდელი დღე 180

(ხარჯისა და ებღრუბულებების აღიარება)

დებუტი - გადასახდელი დღე 180

ძრედილი - ჭული ეროვნულ ვალუტაში 180

(დღე-ის გაღობა)

მეორე შემთხვევაში გადასახადის გადამხდელისათვის ღირს
ბიუჯეტში გადარიცხვის საბუთი ითვლება საგადასახადო ანგარიშ-
ჩაქცურად და თუ მომსახურება გამოიყენება ღირს ღირსებური
აპერაციისათვის, მაიღებს სათანადო ჩათვლას. იგი ბუღალტრულად
დასახება

ფაქტობრივად — სათქმურადი ხარჯები 1000

დებეტი - გადახდილი დღგ 180

კრედიტი - სავაჭრო ვალდებულება 1.000

კრედიტი - უკუდაბეჭდვით გზავსახდული დღგ 180

(ხარჯება და ვალდებულებების აღიარება)

დებები - უკუდაბეგვრით გადასახდელი დღგ 180

კრედიტი - უკლი ეროვნულ ვალუტაში 180

(უკუღაბეჭურვით ვადასახლებული ღღუ-ის ვადახდა)

ზოგჯერ საწარმოს უბლება დღგ-ის თანხის კორექტირება
მაკორექტირებელი ანგარიშ-ჟაქურის საფუძველზე. იგი შესაძლოა
უკვემთოდებოდეს როგორც ჩასათვლელ, ისე გადასახდელ დღგ-ს.
გადისახდელი დღგ-ის თანხის კორექტირებამ შეიძლება გამოიწვიოს
დღგ-ის ვიდელებების გაზრდა ან/და შემცირება. დღგ-ის ეხლდებუ-
ლების შემცირების მიზნით, კორექტირების თანხა ბუღალტრულად
გაბარდება

დებუტი – გადასახდელი დღგ

კრედიტი – სავაჭრო მოთხოვნები ან

კრედიტი – ფულადი სახსრების ანგარიში
(*მყიდველისათვის კორექტირების ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის თანადროულად სხვაობის თანხის დაბრუნებისას*)

დღგ-ის ვალდებულების გაზრდა კორექტირების გზით ბუღალტრულად გატარდება

დებუტი – სავაჭრო მოთხოვნები ან

დებუტი – ფულადი სახსრების ანგარიში (*მყიდველისათვის კორექტირების ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის თანადროულად სხვაობის თანხის გადახდისას*)

კრედიტი – გადასახდელი დღგ

როდესაც მომწოდებლის მიერ ხდება მაკორექტირებელი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა და კორექტირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხა, იგი ბუღალტრულად გატარდება

ა) ჩასათვლელი თანხის შემცირების მიზნით

დებუტი – სავაჭრო ვალდებულებები ან

დებუტი – ფულადი სახსრების ანგარიში (*მომწოდებლის მიერ კორექტირების ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის თანადროულად სხვაობის თანხის დაბრუნებისას*)

კრედიტი – გადახდილი დღგ

ბ) ჩასათვლელი თანხის გაზრდის მიზნით

დებუტი – გადახდილი დღგ

კრედიტი – სავაჭრო ვალდებულებები ან

კრედიტი – ფულადი სახსრების ანგარიში
(*მომწოდებლის მიერ კორექტირების ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის თანადროულად სხვაობის თანხის გადახდისას*)

12.4. აქციზის აღრიცხვა

აქციზის გადახდა ევალება საწარმოს, რომელიც საქართველოში აწარმოებს აქციზურ საქონელს, აგრეთვე საწარმოს, რომელიც ახდენს აქციზური საქონლის იმპორტს ან შავი ან/და ფერადი ლითონის ექსპორტს. აქციზი დღგ-ის ანალოგიურად არაპირდაპირი გადასახადია, მაგრამ მათი აღრიცხვის წესებით არსებითად განსხვავებულია. ქვემოთ განხილულია ზოგიერთი საკითხი.

საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტიორი საწარმოსათვის, რომელიც არ არის აქციზური საქონლის მწარმოებელი, გადახდილი აქციზი იმპორტირებული საქონლის თვითღირებულების კომპონენტია. დაუშვათ, საწარმო ახორციელებს სპირტიანი სასმელების იმპორტს და შემდგომ რეალიზაციას საქართველოში. იმპორტირებისას გადახდილი აქციზი დაემატება საქონლის თვითღირებულებას ბუღალტრული გაგარებით

დებუტი – საქონელი

კრედიტი – ეროვნული ვალუტა ბანკში

საწარმოს მიერ შავი ან/და ფერადი ლითონის ექსპორტირების დროს გადახდილი აქციზი წარმოადგენს მიწოდების ხარჯს და იგი ბუღალტრულად გატარდება

დებუტი – მიწოდების სხვა ხარჯები

კრედიტი – ეროვნული ვალუტა ბანკში

სხვა შემთხვევაში, პირს, რომელიც ახორციელებს დისაბეჯეროვან მოქმედებას, უფლება აქვს მიიღოს საგადასახადო ჩათვლა მიწოდებული (გადაცემული, საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანილი, ექსპორტირებული) აქციზური საქონლის საწარმოებლად გამოყენებულ საქონელზე (ნედლეულზე) გადახდილი ან გადასახდელი აქციზის ოდენობით. აქციზთან დაკავშირებული ბუღალტრული გაგარებების საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი.

საწარმომ აქციზური საქონლის საწარმოებლად მოახდინა აქციზური ნედლეულის იმპორტი. იმპორტირებულ ნედლეულზე გადაიხდა აქციზი 2.000 ლარი. ასევე შეიძინა საქართველოში წარმოებული აქციზური ნედლეული და მომწოდებელს გადაუხდა აქციზი 2.500 ლარი. რაღაგანაც საწარმოს აქვს იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია და ადგილზე შეძენილ ნედლეულზე მომწოდებლის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, თუ იგი ამ ნედლეულს გამოიყენებს აქციზური საქონლის საწარმოებლად, მას ექნება შესაბამისი აქციზის ჩათვლის ან დაბრუნების უფლება. ვინაიდან დღგ-საგან განსხვავებით გადახდილი აქციზის ჩათვლა ხდება ნედლეულის

გამოყენების შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისათვის სასურველად განცალკევებით აღირიცხოს ჩასათვლელი და ჩათვლილი აქციების თანხები. ამ მოსაზრებით ნელეულის შეძენის დროს გადახდილ აქციებზე ოპერაცია ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - ჩასათვლელი აქციები 2.000

კრედიტი - ეროვნული ვალუტა ბანკში 2.000
(იმპორტზე გადახდილ აქციებთან დაკავშირებით)

ღებუგი - ჩასათვლელი აქციები 2.500

კრედიტი - სავაჭრო ვალდებულებები 2.500
(აღვიღზე შეძენილ ნელეულზე გადახდილ აქციებთან დაკავშირებით)

საწარმოში აქციური საქონლის საწარმოებლად გამოიყენა როგორც იმპორტირებული ისე ადგილობრივი ნელეული წარმოებული აქციური საქონლის ნაწილი მყიდველს მიაწოდა ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო ნაწილი ექსპორტი განახორციელა. ადგილობრივ ბაზარზე მიწოდებულ აქციური საქონლის წარმოებაზე დახარჯულ ნელეულზე გადახდილი აქციები შეადგენდა 1.500 ლარს, ხოლო ექსპორტირებულზე - 2.300 ლარს. ადგილზე გაყიდულ აქციებზე საქონელზე გადასახდელი აქციები შეადგენს 2.400 ლარს, ხოლო ექსპორტირებული საქონელი აქციების ნულოვანი განაკვეთით იბეგრება. საწარმოს უფლება აქვს ექსპორტირებული აქციური საქონლის შესაბამისი აქციების დაბრუნება მოითხოვოს ან ჩაითვალოს, თუ საწარმო მეორე გზას აირჩევს, აქციების ჩათვლა ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - ჩათვლილი აქციები 3.800

კრედიტი - ჩასათვლელი აქციები 3.800

ჩათვლისა და დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში ოპერაცია გატარდება

ღებუგი - ჩათვლილი აქციები 1.500

კრედიტი - ჩასათვლელი აქციები 1.500
(აქციების ჩათვლის შემთხვევაში)

ღებუგი - დასაბრუნებლად მოთხოვნილი აქციები 2.300

კრედიტი - ჩასათვლელი აქციები 2.300
(აქციების დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში)

ამდენად, ჩასათვლელი აქციების ნაშთი საწარმოს კიდევ რჩება 700 ლარი, რომელიც დარჩენილი ნელეულის გამოყენების კვალობაზე იქნება ჩათვლილი ან მოთხოვნილი უკან დასაბრუნებლად.

აქციების გადახდაზე წარმოშობილი ვალდებულება ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - სავაჭრო მოთხოვნები 2.400

კრედიტი - გადასახდელი აქციები 2.400

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოში ექსპორტირებულ აქციებზე საქონელზე აქციების უკან დაბრუნება მოითხოვს, მისი სავალისხადო ვალდებულების ნაშთი შეიღგენს 900 (2.400 - 1.500) ლარს, მისი გადახდა ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - გადასახდელი აქციები 900

კრედიტი - ეროვნული ვალუტა ბანკში 900

12.5. სოციალური გადასახადის აღრიცხვა

სოციალური გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება ნებისმიერ საწარმოს, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებს. წარმოშობილი ვალდებულება, მეორე მხრივ, შეიძლება იყოს ხარჯი ან კაპიტალიზებადი დანახარჯი. დამქირავებლისათვის სოციალური გადასახადის ვალდებულების თანხის გაანგარიშების მიზანს ხელუფასი (ხელუფასის სახით მიღებული შემოსავლები) წარმოადგენს. ხელუფასიდან სოციალური გადასახადის დარიცხვის ოპერაციები, იმის მიხედვით, თუ რა მიზნით იყო გაცემული ხელუფასის სახით მიღებული შემოსავალი, ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - წარმოების (მომსახურების) მუშების ხელუფასზე

დარიცხული სოციალური გადასახადის ხარჯი

ღებუგი - მიწოდების პროცესის მუშების ხელუფასზე

დარიცხული სოციალური გადასახადის ხარჯი

ღებუგი - აღმინისგრაიული პერსონალის ხელუფასზე

დარიცხული სოციალური გადასახადის ხარჯი

ღებუგი - არასაოპერაციო ხარჯები (სოციალური

გადასახადის ხარჯის გამოყოფით - მაშინ,

როდესაც ხელუფასის სახით მიღებული შემოსავალი

არ გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან)

ღებუგი - დაუმთავრებული მშენებლობა

ღებუგი - იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

კრედიტი - სოციალური გადასახადი (ყველა შემთხვევაში)

საწარმოს სოციალური გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოეშობა მაშინაც, როდესაც იგი საქართველოში გაწეულ მომსახურებას უნაირად უნდა განიხილოს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირს. დავეშვათ, საწარმო საქონლის გასაყიდად გრანსპორტირებისათვის მომსახურება მიიღო ფიზიკური პირისაგან. საგრანსპორტო მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა შეადგენდა 500 ლარს. ამ შემთხვევაში საწარმო ვალდებულია მომსახურების გამწევე პირს დაუკავოს საშემოსავლო გადასახადი, გადახდის საზღაურზე დაბარიცხოს სოციალური გადასახადი და ორივე გადასახადი გადაიხადოს ბიუჯეტში. მოცემულ სიტუაციაში ოპერაციები ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - გრანსპორტირების ხარჯები 500

კრედიტი - სავაჭრო ვალდებულებები 500

(მომსახურების ხარჯის აღიარება)

ღებუგი - სავაჭრო ვალდებულებები 60

კრედიტი - საშემოსავლო გადასახადი 60

(საშემოსავლო გადასახადის დაკავება)

ღებუგი - გრანსპორტირების ხარჯები 100

კრედიტი - სოციალური გადასახადი 100

(სოციალური გადასახადის დარიცხვა)

სოციალური გადასახადის გადახდის დროს ღებუგდება სოციალური გადასახადის ანგარიში და კრედიტდება ყუღადი სახსრების ანგარიში.

12.6. ქონების გადასახადის აღრიცხვა

საწარმო ქონების გადასახადს იხდის გრძელვადიან აქტივებზე, კერძოდ, ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებიანი, არამაგერიბლური აქტივები და მიწა. გადასახადის გადახდის პირობების მიმართ საგადასახადო კოდექსის განსხვავებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მათი აღრიცხვა გარკვეული თავისებურებებით გამოიწვევა. კერძოდ, მიწის გარდა სხვა ქონების გადასახადს საწარმო, მიმდინარე გადასახადის სახით, წელიწადში ოთხჯერადი თანაბარი ოდენობით იხდის. მიწაზე ქონების გადასახადს კი არიგხავს საგადასახადო სამსახური და ვადაშდელს უგბავნის „საგადასახადო მოთხოვნას“. აქედან გამომდინარე, მიწის გადასახადის დარიცხვა ხდება საგადასახადო მოთხოვნის მიღებისას, ხოლო სხვა ქონებაზე დარიცხვა წარმოებს საგადასახადო წლის ბოლოს მდგომარეობით, საწარმოს მიერ შეღვენილი ქონების გადასახადის გაანგარიშების საფუძველზე. ამიგომ, მიმდინარე გადასახდელები ბუღალტრულად განიხილება წინასწარ გადახილ გადასახადად. დავეშვათ, საწარმოში მისის თვეში მიიღო მიწაზე დარიცხული ქონების გადასახადის შესახებ „საგადასახადო მოთხოვნა“. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 400 ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 600 ლარი. საწარმო „საგადასახადო მოთხოვნის“ საფუძველზე აღიარებს საგადასახადო ვალდებულებას ბუღალტრული გატარებით

ღებუგი - სხვა საგადასახადო ხარჯი 1000

კრედიტი - მიწის გადასახადი 1000

საწარმო ვალდებულია, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გადაიხადოს ორ თანაბარ ნაწილად - 15 აგვისტომდე და 15 ნოემბრამდე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 15 ნოემბრამდე. ყველა შემთხვევაში გადახდილი გადასახადი ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - მიწის გადასახადი

კრედიტი - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

სხვა ქონების გადასახადს საწარმო წლის განმავლობაში იხდის მიმდინარე გადასახადის სახით. მისი გადახდა ბუღალტრულად გატარდება

ღებუგი - ქონების გადასახადი

კრედიტი - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

მიმდინარე გადასახდელების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები ჩაითვლება საანგარიშო წლის მიხედვით გაანგარიშებული გადასახადის თანხად. წლის ბოლოს მდგომარეობით გაანგარიშებული ქონების გადასახადი დაირიცხება ბუღალტრული გაგარებით

ღებუგი - სხვა საგადასახადო ხარჯი

კრედიტი - ქონების გადასახადი

12.7. სათამაშო ბიზნესის გადასახადის აღრიცხვა

სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლგარიებით, კაზინოებით, აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესით. სათამაშო ბიზნესის სახეობა მიხედვით, გადასახადის გადახდა ხდება ბიზნესის შედეგთან ან გადასახადის გადახდის ნიშნითან დაკავშირებით. ბიზნესის შედეგთან დაკავშირებით გადასახადის გადახდა ხდება ლგარიებისა და წამახალისებელი გათამაშების მიხედვით. გადასახადის გაანგარიშების ბაზას, შესაბამისად, წარმოადგენს ლგარიების ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი და საპრიზო ფონდი გადასახადი გამოითვლება ყოველი თვის შედეგიდან გამომდინარე და გადაიხდება მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. თვის ბოლოს შედეგითი ლეკლარაციის საფუძველზე, სათამაშო ბიზნესის გადასახადის დაირიცხვა ხდება ბუღალტრული გაგარებით

ღებუგი - სხვა საგადასახადო ხარჯი

კრედიტი - სათამაშო ბიზნესის გადასახადი

ბიუჯეტში გადარიცხული გადასახადის თანხა გაგარდება

ღებუგი - სათამაშო ბიზნესის გადასახადი

კრედიტი - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

გადასახადის გადახდის ნიშნის მიხედვით, სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადახდა ხდება კაზინოს მფლობელების, სათამაშო აპარატებისა და გოგალიზატორის, ბიზნოს, ლგოს სალაროების მოწყობისას, ასეთი თამაშის ორგანიზატორები სათამაშო ბიზნესის გადასახადს იხდიან გადასახადის გადახდის ნიშნების შეძენისას. ამდენად, გადასახადი გადაიხდება წინასწარ, საანგარიშო თვის დაწყებამდე. შესაბამისად, ჯერ შეესივრება გადასახადის გადახდის ფაქ-

ტი, ხოლო გადასახადის დაირიცხვა ხდება საანგარიშო თვის ამოწურვის კვალობაზე. სათამაშო ბიზნესის გადასახადის წინასწარი გადახდის თარიღით ოპერაცია ბუღალტრულად გაგარდება

ღებუგი - სათამაშო ბიზნესის გადასახადი

კრედიტი - ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

საანგარიშო თვის ბოლო დღეს ხდება გადახდილი გადასახადის ხარჯად აღიარება ბუღალტრული გაგარებით

ღებუგი - სხვა საგადასახადო ხარჯი

კრედიტი - სათამაშო ბიზნესის გადასახადი

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისა და წარდგენის ძირითადი კონცეფციები

13.1. ფინანსური ანგარიშგების არსი და მიზანი

ფინანსურ ინფორმაციას მრავალი მომხმარებელი ბეჭდის. ესენი არიან: არსებული და პოტენციური ინვესტორები, დაქირავებული მუშაკები, კრედიტის გამცემები, მომწოდებლები და სხვა საუბრო კრედიტორები, მყიდველები, მთაბრობები და მათი უწყებები, საზოგადოება, ყოველ მათგანს კონკრეტული მოთხოვნილება გააჩნია ფინანსური ინფორმაციის მიმართ და ეს მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. წარმოდგენილია ყველა ფინანსური ინფორმაციის ერთიანი უწყისის ფორმატში თანამოყრდნობა და ასეთი სახით მომხმარებლისათვის მიწოდება. ამასთან, კონკრეტული პირობებში, არამომხმარებლისათვის ისეთი ინფორმაციის გახსნა, რომელიც მხოლოდ მმართველობით ხასიათს ატარებს. ამიტომ, როგორც წესი, წინასწარ განისაზღვრება — რა ფორმის, შინაარსისა და მოცულობის ინფორმაცია აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებს ყველა მომხმარებლის მოთხოვნებს. ასეთი ანგარიშგება საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ხასიათს ატარებს, ცხადია, საერთო დანიშნულების ანგარიშგებაში ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნა ვერ იქნება უბრუნელოდ დატოვებული სრული ოდენობით, მაგრამ იგი მოწოდებულია ინფორმაციის ყველა მომხმარებლის მოთხოვნილება გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს. ყველა მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი რომ იყოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, გამოქვეყნებას ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებელ ფინანსურ ანგარიშგებას წარმოადგენს. გარდა გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგებისა, პრაქტიკაში გვხვდება შიდა დანიშნულების ანგარიშგება, რომელიც დგება საწარმოს სამმართველო აპარატის მიერ დადგენილი ფორმითა და შინაარსით. მისი შედგენისა და ხელმძღვანელობისათვის წარდგენის წესები და ვადები არ რე-

გულირდება აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ორგანოს მიერ დადგენილი სტანდარტებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო დანიშნულების ანუ გამოსაქვეყნებელი ფინანსური ანგარიშგება ცნობილია სახელწოდებით — **ფინანსური ანგარიშგება**.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად შეგროვილ, დამუშავებულ და მომხმარებლისათვის განსაზღვრული ფორმით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციას უზრუნველყოფს.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, ინფორმაციის მომხმარებლებს დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიწოდებით.

როგორც წესი, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მხოლოდ გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი. იგი ხშირად არ მოიცავს არაფინანსურ ინფორმაციას. ამიტომ ფინანსური ანგარიშგება არ იძლევა მომხმარებლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად ამომწურავ ინფორმაციას, მაგრამ მაინც პასუხობს მომხმარებელთა უმრავლესობის საერთო მოთხოვნებს. მავალითა, ფინანსური ანგარიშგების თითქმის ყველა მომხმარებელს აინტერესებს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამოყენების უნარი. ეს უნარი განსაზღვრავს საწარმოს შესაძლებლობას — დაქირავებულ მუშაკებსა და მომწოდებლებს გადაუხადოს კუთვნილი თანხა, დაუბრუნოს პროცენტები და მიღებული სესხები, აგრეთვე, მოგება გაუნაწილოს საწარმოს პატრონორებს.

III.2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი ინფორმაციის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელიც, როგორც წესი, მოიცავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს, ამ ინფორმაციას დაყრდნობით, მომხმარებელს შეუძლია დაადგინოს საწარმოს ფინანსური სტრუქტურა, ლიკვიდობა და ვალდებულებების განაწილება, აგრეთვე, ეკონომიკური გარემოს ცვლილებებთან შეგუების უნარი. საწარმოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსებისა და წარსულში ამ რესურსების გარდაქმნის უნარის შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა იმისათვის, რომ განისაზღვროს საწარმოს მიერ მომავალში ფულადი და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წარმოქმნის უნარი. ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის შესახებ სასარგებლოა იმისათვის, რომ განისაზღვროს მომავალი მოთხოვნა სესხების მიღებაზე და როგორ განაწილდება მომავალი მოგება და ფულადი სახსრები მესაკუთრეთა შორის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის ასევე საინტერესოა ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების, განსაკუთრებით კი მისი მომგებიანობის შესახებ. საწარმოს საქმიანობის შედეგი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა შემოსავლები და ხარჯები. ეს ინფორმაცია სასარგებლოა საწარმოს მფლობელობაში არსებული რესურსების საფუძველზე ფულადი სახსრების გამოყენების უნარის პროგნოზირებისათვის. იგი ასევე გამოადგება საწარმოს მიერ შესაძლო დამატებითი რესურსების ეფექტურად გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

მომხმარებელთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) ბალანსი;
- ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
- გ) ანგარიშგებას საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ;
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; და
- ე) სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს ცხრილურ დანართებსა და სხვა ინფორმაციასაც, რომლებიც ემყარება ფინანსურ ანგარიშგებას ან გამომდინარეობს მისგან და განიხილება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად მთლიანობაში. ამგვარად

ქრალეები და დამატებითი ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, განმარტებით შენიშვნებს.

საწარმოები ფინანსური ანგარიშგების გარდა წარადგენენ საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ფინანსურ მაშობრებს, რომელშიც აღწერილი და ახსნილი უნდა იყოს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგები და ფინანსური მდგომარეობის ძირითადი საკითხები, აგრეთვე ის ძირითადი განუსაზღვრელობები, რასაც ადვილი პქონდა საწარმოს საქმიანობის პროცესში.

III.3. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება უნდა ეყრდნობოდეს ეფექტურ და ობიექტურ თვალსაზრისს, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ. უკუყვარ და ობიექტური ინფორმაციის წარდგენის შესაძლებლობას აძლევს ინფორმაციის თითოეული ხარისხობრივი მახასიათებლისა და ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკური სტანდარტის გამოყენება.

მცირე საწარმოებისათვის ასეთ სააღრიცხვო სტანდარტად აღიარებულია მცირე საწარმოო ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს).

მსს-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფინანსურმა ანგარიშგებამ უკუყვარად და სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური საქმიანობის შედეგები და ფულადი სახსრების ნაკადები და რეალური ფინანსური მდგომარეობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, ბუღალტრული შეთხვევებში, შეიძლება გაეკეთდეს ისეთი დამატებითი განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც არ მოითხოვება მოცემული სტანდარტით.

საწარმოში ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა მიუთითოს, რომ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტის (მსს) მიხედვით. თუ ფინანსური ანგარიშგება